# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 ივლისი, 2013 წელი.

№122 (7249)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## როგორ აუპატიურებს ნაცმოძრაობა თანამოქალაქეებს და... საკუთარ თავს

ანუ ვის და რატომ მიახტება ქუ მგელი

3



## საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს გაიმართება



„საქართველოს პრეზიდენტმა 1 ივლისს ხელი მოაწერა განკარგულებას და აღნიშნული სამართლებრივი აქტი უკვე გამოცემულია. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ჩატარდება 2013 წლის 27 ოქტომბერს, ეს არის ოქტომბრის თვის ბოლო კვირა დღე", — აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

## ნაცები და ქოცები

4

## სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობის" შედეგები განახევრდება

5

## კიდევ ერთხელ იმაზე, თუ რა ხდება ჩვენს თავს

6

## ორხელისუფლებიანობა,

ანუ ყოფა წარსულ-არწარსული და მოსულ-არმოსული ხელისუფლების პირობებში...

7

## ვანო მერაბიშვილი ნელსონ მანდელა ვერ გახდება

8



## პუტინმა არასრულწლოვნებში გეი-პროპაგანდის აკრძალვის შესახებ კანონს ხელი მოაწერა

7

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

## ვითარება

# ჩვენი ძალიან დიდი სურვილია, რომ საქართველოში ეუთოს მისია აღდგეს

**ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა ორშაბათის ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**მისი თქმით, ეუთოსთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობა, რომელიც სტამბოლში იმართება.**

ზალკალიანის განცხადებით, რამდენიმე დღის წინათ ის იმყოფებოდა ვენაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ეუთოს ყოველწლიურ მიმოხილვით კონფერენციაში და, მისი თქმით, ამ ვიზიტის დროს შეხვედრა გაიმართა ეუთოს გენერალურ მდივანთან, ასევე კონფლიქტების აღმოფხვრის ცენტრის ხელძღვანელებთან. როგორც ზალკალიანმა განაცხადა, საუბარი იყო ეუთოს მისიის შესაძლო აღდგენაზე საქართველოში.

„ამ პროცესს აქვს თავისი სირთულეები, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ორგანიზაციაში გადაწყვეტილებები კონსესუსის საფუძველზე მიიღება და თუკი ერთი დელეგაცია ბლოკავს გადაწყვეტილებას, ვერ იქნება მიღებული. ჩვენი ძალიან დიდი სურვილია, რომ აღდგეს ეუთო-ს მისია. მაგრამ ერთი დელეგაციის გამო, რომელიც ამ საკითხს ბლოკავს, ამ მიზნის მიღწევა ვერ ხერხდება, თუმცა, მქონდა საუბარი, იქნება მოვძებნოთ გზები, რადგან არსებობს მექანიზმები ეუთოში, რომ მოხდეს რაიმე ფორმით ეუთოს მისიის აღდეგენა, — განაცხადა დავით ზალკალიანმა. მისივე თქმით, ის დარწმუნებულია, რომ საუბარს გააგრძელებენ სტამბოლში მიმდინარე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის შეხვედრაზე საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლები და ამ საკითხს განსახილველად დააყენებენ.

## როგორც იქნა!

# უცხოელზე მიწის გაყიდვის მორატორიუმი დაწესდა

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვის შეჩერების ინიციატივას გამოეხმაურა, რაც პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა.**

მისი თქმით, ეს თემა და საკითხი ძალიან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განსაკუთრებით მოწესრიგებულია, ბევრგან კი საერთოდ აკრძალულია საკუთრებაში მიწის გადაცემა. **„ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება მორატორიუმის დაწყების თაობაზე, ეს არანაირად არ ეხებათ იმ მესაკუთრეებს, რომელთაც დღემდე კანონით დადგენილი წესით ჰქონდათ შეძენილი მიწის ნაკვეთები. ეს ნიშნავს იმას, რომ ხვალ და ზეგ ვერც საქართველოს მოქალაქე და ვერც უცხოეთის მოქალაქე უცხოელზე მიწას ვერ გაყიდის. მიწა შეიძლება გადაეცეს ხანგრძლივი იჯარით, სხვა პირობებით“,** — განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ეს ღონისძიება ინვესტიციების საწინააღმდეგოდ მიმართული კი არ არის, არამედ მის მოზიდვას ემსახურება:

**„სასოფლო-სამეურნეო მიწა არ უნდა იყოს სპეკულაციის საგანი, როგორადაც ის იქცა საქართველოში. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი მოსახლეობის მდგომარეობა. ის რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა დღეს სიღატაკის ზღვარზეა და მზადაა ჩალის ფასად გაყიდოს მიწა, არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ და ზეგაც ასე იქნება. ამიტომ ამ მძიმე პერიოდში სხვაგვარად უნდა დავეხმაროთ სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებს. და მივცეთ მათ საშუალება იშრომონ. როცა ქვეყნის მოსახლეობის 50 პოცენტამდე სწორედ სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს, ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის უმიწოდ დატოვება არ არის სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. საბოლოო გადაწყვეტილებას საკითხის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ მივიღებთ“.**

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ, რომელიც ამ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორია, „ნეტგაზეთის“ კითხვაზე, კანონით ვრცელდება თუ არა მორატორიუმი იმ პირებზე, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან და ამავდროულად საქართველოს მოქალაქეობასაც ფლობენ, ასეთი პასუხი გასცა:

**„თუ საქართველოში ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეა, არ ეხება. თუ საქართველოს მოქალაქეა და წავიდა და ამერიკაში მიიღო მოქალაქეობა, იმან ავტომატურად დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, ხომ? თუ ამერიკელი მოქალაქეა და აქ პრეზიდენტმა მიანიჭა მას მეორადი მოქალაქეობა, საქართველოს მოქალაქეა, რა თქმა უნდა, და შეუძლია მიწის ყიდვა.“**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ბოლო ორ წელიწადში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 8 458 პირს, მათ შორის უმრავლესობა — 6527 რუსეთზე მოდის. 2004-2011 წლებში საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის 25 314 მოქალაქისთვის აქვს მინიჭებული ქვეყნის პრეზიდენტს, ანუ ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობა სულ 33 772-მა პირმა მიიღო.

**ნატა ნიბლაძე**




## ინფორმაცია

### „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკრებულოში უმრავლესობა დაკარგა

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების„ თავმჯდომარემ გულიკო ზუმბაძემ განუცხდა.**

**„კოკი იონათამიშვილის წამოსვლის შემდეგ, ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობაში„ 23 წევრი რჩება და 23 ადამიანი გადაწყვეტილებას ველარ მიიღებს; ქვორუმი გადაწყვეტილების მისაღებად 24-ია. ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობას ველარ წარმოადგენს. 24 დეპუტატი არის უკვე არანაციონალი, ვერ ვიტყვი, რომ ეს არის უკვე ახალი უმრავლესობა, იმიტომ, რომ არ ვიცი, კოკი რას იზამს. ჩვენ უნდა შევიკრიბოთ ინტერფრაქციულ რეჟიმში. კოკიმ თავად უნდა გადმოდგას ნაბიჯი და დაგველაპარაკოს იქნება ჩვენთან ერთად თუ არ მიიღებს მონაწილეობას მეორე მხარის ინტერესებში. ძალიან კრიტიკული სიტუაციაა საკრებულოში, შესაძლოა ამ კვირაში იონათამიშვილს სხვა დეპუტატებიც მიყვნენ“, — განაცხადა ზუმბაძემ.**

### მერიის დოკუმენტებზე „გრიფით საიდუმლო“ უნდა მოიხსნას

**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრი ჯაბა სამუშია თბილისის მერიის 2004-2010 წლების დოკუმენტებზე გრიფით საიდუმლოს მოხსნას ითხოვს.**

**ამის შესახებ სამუშიამ საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და საქართველოს პარლამენტს და მთავარ პროკურატურას მიმართა.**

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის განმარტებით, მან თბილისის მერიას მიმართა, რომ მისთვის გადაეგზავნათ 2008 წელს კომპანია „სითი პარკსა“ და მერიას შორის დადებული ხელშეკრულება. სამუშიას თქმით, მერიიდან უპასუხეს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება „სითი პარკის“ კომერციული საიდუმლოებაა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროებაზე თბილისის მერია უარს აცხადებს.**

**სამუშიამ დედაქალაქის ხელმძღვანელობას ასევე წერილობით მიმართა, ეცნობებინათ მისთვის 2006-2010 წლების იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელთაც გრიფით საიდუმლო ადევს, თუმცა მერიიდან ამაზეც უარი მიიღო.**

**სამუშიას თქმით, გრიფით საიდუმლო ზოგიერთ დოკუმენტს 2004 წლიდანაც აქვს მინიჭებული. საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი მიიჩნევს, რომ დოკუმენტებს გრიფით საიდუმლო ფინანსური დარღვევების გადასაფარად ადევს, რომელსაც ადგილი ჰქონდა თბილისის მერის გიგი უგულავას მმართველობის პერიოდში.**

**ინტერპრესი**

## ინტერნეტიდან

# „შენ ბიუჯეტი უნდა გეძარცვა და ამან თავისი ფული უნდა ჩადოს“?

**— მოვუწოდებ პრემიერ-მინისტრს, ახლა არის ის დრო, რომ თუნდაც თავისი ფული მასშტაბურად ჩადოს ეკონომიკაში, — ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყვარელში განაცხადა. პრეზიდენტი ქვეყანაში ფართომასშტაბიან ეკონომიკურ სტაგნაციაზე საუბრობს და მდგომარეობის გამოსასწორებლად მთავრობას რამდენიმე რჩევას აძლევს. მიხეილ სააკაშვილის თქმით, საქართველოს ეკონომიკა ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და წინა მთავრობის მიერ დატოვებულ თანხას ახალი ხელისუფლება უაზრო პროექტებში ხარჯავს.**



„ეს უნამუსო გვეკაიფება თუ... ბატონო პრეზიდენტო, თუ პრემიერი თქვენი ნათქვამის საწინააღმდეგოდ აკეთებს ყველაფერს, თქვენც პირიქით ილაპარაკეთ და სასურველ შედეგს მიიღებთ“...

„ჯერ შენ რაც ჭამე ბიუჯეტიდან, ის მილიონები დააბრუნე და პრემიერ-მინისტრი როგორმე მიხედავს საქმეს“!

„მართლა კითხვის ნიშნის ქვეშაა, შენ თავში ტვინი გიდევს? დორბლიანმა და მისმა ნაცხროვამ ბიუჯეტის, ესე იგი ჩვენი ფული თქვლიფოს და ბიძინამ შეავსოს ბიუჯეტი არა თავისი ფულით? მეტს ვერ ქაჩავს ნაცხროვის მომხრეების ცარიელი თავის ქალა“.

„მიხოოოოოოო! შე დემაგოგ-ავანტიურისტო, რატო სცოდავ, ღმერთის არ გეშინია? დაუბრუნე ხალხს ნაქურდალი, ხალხის ჯიბიდან ამოღებული მილიარდები“...

„11-პროცენტიანი ზრდა უნდა გვქონოდაო... ეს ტიპი დაგვცინის“!

„ამას მაგარი მოგლეჯილი აქ“...

„ფუუუუ... ინტრიგა, მიხოოო... შენ რომ გაქვს მილიარდები, იმდენი უნდა, მაგრამ ვერ გამოაჩენ, ეგრევე გისოსები მერე... შვეიცარიაში დაგილპება, ჯიგარო, ცოტა ხანში მატროსოვში რომ აღმოჩნდები... გვიყვარხარ ყველა ქართველს...“

„ხო აბა რა, სულ მაგას ფიქრობს. ახლა 9 საათზე რომ დაიძინებს, ჩაისიზმრებს“...

„მოუჩრდილეთ... ცოდოა“..

„ახლანდელი შენი სურათი შეადარე ადრინდელს, ხედავ როგორ გასუქდი? ეგ კარგმა კვებამ იცის. შხამად, მიშა, შხამად შეგერგოს, ეგრეც იქნება, შენ დაიჭერ იმ კურდღელს, რომელსაც ეძებ. ბიძინა მოგიღებს შენ ბოლოს და ეს კარგად იცი, შენი ადგილი ან საგიჟეშია ან ციხეში, არაადეკვატურო არსებავ“.

„ხაზინის ქურდბაცაცავ, არც შენ გაქვს, ბიძინაზე ნაკლები ფული. რა, გეშინია გამოჩენა? რამდენიც გაქვს მოპარული შენ, უგულავას და დანარჩენ ნაციონალებს, სულ ფეკალურ მასებად გექცეთ და თქვენი სახლები გაივსოს მერე იმ მასებით, უნამუსოებო, თქვენს თავებს მიხედეთ“...

„რატო, შენ ბიუჯეტი უნდა გეძარცვა და ამან თავისი ფული უნდა ჩადოს“?

„მეტი არაფერი საქმე აქვს ივანიშვილს! ალბათ ისიც ვერ მოუნელებია, რაც დახარჯა და რაც აქვს დასახარჯი საარჩევნოდ! თუმცა, შეიძლება რუსეთი წამოეხმაროს და სულ მაგის ზურგზე არ გადაიაროს ამ არჩევნებმა...

„ივანიშვილს ხომ აქვს მილიონები, ჰოდა ჩადოს, რა მოხდა? აბა მთავრობაში რომ მოვიდა, უნდა შეასრულოს. ხალხს რომ დაპირდა, ყველაფერს გავაკეთებო და მერე პრემიერი რომ გახდა, მერე უარს ამბობდა, მე არ შეგპირებივართო, არ გახსოვთ ბიძინას ნაამბობი? სააკაშვილმა ვერ გააკეთა და ვერც ბიძინა გააკეთებს მით უმეტეს პრეზიდენტობა არ უნდა და მაგან ვილაცა უნდა ნახოს და პრეზიდენტად დასვას. როგორ მოგწონს? თავად კი გავა რაღაც 2 ან 3 წელში პოლიტიკიდან. ამაზე უარესი რა არის“?

შენთვის და შენნაირი უნამუსო უმადურებისთვის რაც დახარჯა, ისიც არამია“...

**თამარ კახეთელიძე**

## კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● **დათო ბაქრაძე** HOLYWOOD-ის პრეზიდენტად!!! (მისმა ღიმილმა შეცვალა სამყარო).

● **ხვალ მიშა არჩევნების თარიღს გამოაცხადებს. თურმე საარჩევნო კომისია „მზად ყოფილა“... მაგათი მზადყოფნა რასაც ნიშნავს, კარგად ვიცი. ნუთუ ასე ძნელი იყო ამ ბოლო თვეებში მაინც მოგეწესრიგებინათ საარჩევნო სიები, ჩაგეტარებინათ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა? თუ ბიუჯეტში ამის სახსრები არ იყო, დალოცვილო, „ქართუ-ინვესტორისთვის“ მაინც გეთხოვათ და დაეფინანსებინათ ასეთი მნიშვნელოვანი „მოვლენა“... ისევ მიშას გაბერილი სიებით ატარებთ არჩევნებს, ერთი მილიონით მეტი ამომრჩევლით? მაინცდამაინც ნაციონალების მარადმღიმარი ჯოკონდა ბაქრაძის გაყვანა გინდათ მეორე ადგილზე? იქნებ პირველზეც? ბარემ თუ კოჰაბიტაციაა, კოჰაბიტაცია იყოს, ჯანი გავარდეს. ემანდ თავში არ გაივლოთ ასეთი სისულელე, თორემ რაც 9 წელი არ მირბენია მიტინგებზე, იმდენს ვირბენ და მერე მტერს და ავს, მე თუ ვინმეს გადავეკიდე... თუ არ გჯერათ, მიშას შეხედეთ, რას ჰგავს.**




● **ერთიანი ნაციონალური მოძრაობა** United National Movement ახლა ღირსები არ ხართ, მართლა მალაშხია რომ ავირჩიოთ პრეზიდენტად?

● **გაჭირვებული ნაციონალი რეკავს „ოცნებაში“**

**— თქვენ ამტკიცებთ, რომ ნაციონალებმა ყველაფერი გაყიდეს?**

**— დიახ!**

**— ჩემი წილი სად შეიძლება მივიღო?**

● **უგულავას უთხრეს მერიის თანამშრომლები ჩასვესო, — ჩასვეს და ისხდნენო.**

● **„ოცნება“, ასე როგორ „გააბლატავე“ თაღლითი გივია თარგამაძე, რომ ციხეში ჯდომის ნაცვლად, აქეთ დაგცინის? თურმე სასამართლომ დაადასტურა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დანაშაული ჩაიდინა და მერიის იმ ოთხმა ქურდმა და გიგი უგულავამ ბანკომატების მუშაობა შემოამოწმეს? ვინ ამოიდო საჯდომქვეშ მთელი თბილისის ბიუჯეტი? ვინ გაიტანა ოფშორებში მილიარდობით დოლარი? ვინ ათეთრა ფულები ერთსა და იმავე ადგილზე ორ-სამჯერ ფილების დაგებით და ათჯერ გადაასფალტებით? ვინ? ვინ? ვინ? გაგვაგებინეთ.... გივი თარგამაძის დასაცინები თუ ხართ, იყავით... ეგრე ოცნებები ვერ ახდება.**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

# როგორ აუპატიურებს ნაცმოძრაობა თანამოქალაქეებს და... საკუთარ თავს,

## ანუ ვის და რატომ მიახტება ძუ მგელი

**რომ ჰკითხო, ყველა პიონერებივით დარაზმულად გიპასუხებთ, დასასჯელი უნდა დაისაჯოსო, უგამონაკლისოდო.**

**ოღონდო, კომისია შევქმნათ აუცილებლად ჩვენი, უმცირესობის მონაწილეობითო, ერთად ვარკვიოთ, რა და როგორ იყოო! იქნებ მთლად ისეც არ არის საქმე, როგორც თქვენ ამბობთო.**

**მოკლედ, არ გენდობით, არაო, მელა მატყუარაო.**

ისე, ამ წამებისა და გაუპატიურების ვიდეოკადრებმა სულ გადარია ქვეყანა (არადა, ამ ქვეყანას კიდევ გადარევა უნდოდა?). თურმე მარტო ციხეში კი არა, რიგით სამართალდამცავ ორგანოებშიც იშილიფებდნენ ხვანჯრებს და მამაკაცებს აუპატიურებდნენ ნაციონალური ხელისუფლების ცენტურიონები.

მაინც რა ღვთის რისხვაა ეს კაცების გაუპატიურება ჯერ ცოცხით და ახლა იმით, რაც საამისოდ გაუჩენია ღმერთს, ოღონდ არა მამაკაცთა დასამდაბლებლად.

აგრერიგად მოხშირებული წამების ეს მეთოდი ერთ რამეს მაფიქრებინებს: ვინც გამოტეხვის ამგვარ ხერხს უკვეთავს შემსრულებელს, თვითონ არის სულით პედერასტი და ცვედანი. თავის დაუძლურებულ და გაუკუღმართებულ სექსუალურ პოტენციას სხვა, ნორმალური მამრის დამდაბლებით იკმაყოფილებს.

მერე გვიკვირს, ამ ჩვენს ქვეყანაში პედერასტები და მათი მხარდამჭერები ასე რამ მოამრავლაო. თანაც, მომრავლება იქით იყოს, თავისი ორიენტაციის სახალხოდ შარაზე გამოდებას რატომ ეშურებიანო.

გამოჩენილი კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი კავშირის მასშტაბით აღიარებული მამათმავალი იყო, ამისთვის, თუ არ ვცდები, 7 წელი იჯდა კიდეც (За оскорбление человеческого достоинство), მაგრამ არასდოს ლოზუნგით ხელში არ გამოსულა ქუჩაში, გინდა თუ არა, ხურუშიანი ვარო, თავის თანახურუშიანელებს სადღაც ჯურღმულში ხვდებოდა ხოლმე თვალს მიფარებულად.

ეს განსაჯაროება ნაციონალური ხელისუფლების იდეაფიქსი მგონია. ნაცების მხარდამჭერმა ტელევიზიებმა (თუმცა, განა მათი მოწინააღმდეგე ტელეარხები არსებობს?) პირდაპირ აიტაცეს პედერ-იდეა და ეკრანები ლამის წალეკა ყველა ჯურის ქალკაცების, საეჭვო მამაკაცების, ახურებული „დიზაინერების" და „სტილისტების" გულისამრევმა ბუნების საწინააღმდეგო კოხტაპრუწობამ.

როგორც შარშან შემოდგომაზე ციხის კადრების ჩვენებამ გადაიყოლა მიუსავლეთში ნაციონალების ხელისუფლება, ახალი სამალავების გახსნა და ბინძური კადრების გახმიანება გადაიყოლებს ამ შემოდგომაზე მათ ნარჩენებს. არადა, როგორ ებღაუჭებიან ხავსს, როგორ გაშლილი ფრონტით უტევენ ქართულ ოცნებას, თუმცა, ამ ახალ, სამალავების გახსნამ ნიადაგი გამოაცალათ ფეხებქვეშ.

იმ დღეს „რუსთავი-2"-ში პალიკო კუბლაშვილი და მანანა კობახიძე შეებნენ ერთმანეთს, „მიწას გაჰქონდა გრიალი".

პალიკომ, როგორ თუ ბედუკაძე, რომელმაც ციხის ცოცხიანი კადრები გადაიღო და წამებაში თვითონაც მონაწილეობდა, სასჯელისგან გაათავისუფლეთ, წამების ჩამდენის სასჯელისგან მთლიანად გათავისუფლება რომ არ შეიძლება, საერთაშორისო წესით — ხომ იცითო.

პ.კ.-ს ორი რამ შეეშალა: ჯერ ერთი, არავის უთქვამს, ბედუკაძე უშუალოდ მონაწილეობდა ადამიანთა წამებაშიო, მეორეც ბედუკაძის კადრები რომ არა, დღეს ყველა მწამებელი კვლავ ადგილზე იჯდებოდა და სულაც სიმართლე თუ გვინდა, ნაცმოძრაობა მესამე ვადით იქნებოდა არჩეული პარლამენტში, პრეზიდენტ სააკაშვილს კი პრემიერ-მინისტრის ჩოხა ექნებოდა მორგებული ორმოცწლიანი ვადით საიმედოდ და უკანმოუხედავად. ამასაც ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში!

განა ცოტა ვიცით ნაცების პრაქტიკიდან, როცა დაზუსტებული დამნაშავეები შინ გაუშვეს „გამოძიებასთან ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის".

ახლახან თბილისის პროკურორის დადგენილება გამოვაქვეყნეთ „ივანე მერაბიშვილის ბრალდების შესახებ". მასში ნათქვამია, რომ **„სანდრო გირგვლიანი პოლიციის მუშაკებმა გაიტაცეს თბილისიდან, ოქროყანის სასაფლაოზე გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. სანდროს წამების მიზნით სხეულის სხვადასხვა არეში დანით მიაყენეს აურაცხელი ჭრილობა, მათ შორის 12 ჭრილობა ყელის არეში. გარდა ამისა, მას დაზიანებები აღენიშნებოდა მარცხენა მხარზე, მარცხენა წინამხარეზე, მარჯვენა მხარზე, თითებზე, მუცელზე, ორივე მუხლზე, წვივებზე, თეძოებზე, შუბლზე, ცხვირზე და თვალების ირგვლივ და ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფი, მიატოვეს უკაცრიელ ადგილას"**. ულმერთოდ ნაწამები სანდრო გარდაიცვალა. მისი მწამებლები და მკვლელები კი პრეზიდენტმა შეიწყალა სულ რაღაც 2,5 წლის შემდეგ, მგონი სამხედრო ამნისტიით.

პალიკოს ვენაცვალე მაღალ შუბლკეფაში, აკი წამების ჩამდენის სასჯელისგან მთლიანად გათავისუფლება არ შეიძლებაო! ჯარისკაცის მამისა არ იყოს, „სიჩას იესტ ა სიჩას ნეტ, და"!

თანაც ბედუკაძის და მერაბიშვილის დანაშაული ერთია, კაცო? პალიკოს, ჩიორას, თუ სხვა ენისტს რომ ჰკითხოთ, თქვენ დამნაშავე ბედუკაძეს ხელს აფარებთ, უდანაშაულო მერაბიშვილს კი ულმერთოდ იმეტებთო. არადა, ხომ იცით, რომ მისი დაპატიმრების გამო ორიოდ დღის წინათ ეუთომ (ოოო! — ა. ა.) ღრმა შეშფოთება გამოთქვა.

არადა, „უდანაშაულო" ი. მერაბიშვილმა პროკურორის დადგენილებით, **„თავისი მოქმედებით გამოიწვია მის სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფ მოხელეთა დანაშაულებრივი საქმიანობის პირდაპირი წახალისება პირადი მოტივით, საჯარო და სხვა პირთა ინტერესების საწინააღმდეგოდ. ი. მერაბიშვილის დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა დამნაშავეთა და დანაშაულის დაფარვისათვის სხვადასხვა ქმედებათა დაგეგმვასა და განხორციელებაში, საგამოძიებო ინსცენირებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციების ორგანიზებაში, დანაშაულის გახსნის ყალბი მოლოდინის გაჩენით — საზოგადოების შეცდომაში შეყვანაში, დამნაშავეთა სამსახურებრივ, მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერაში, მათთვის სასჯელის მოხდის პერიოდში უკანონო პრივილეგიების მინიჭებისთვის პირობების შექმნაში და დუმილის სანაცვლოდ ფინანსური საზღაურისა და კეთილდღეობის შეთავაზებაში, ასევე, სასჯელისაგან ვადამდე ადრე გათავისუფლების უზრუნველყოფაში"**.

ესეც შენი თეთრი ყვავი ვანო! მართალია პროკურორის დადგენილება მოსამართლის დადგენილება, ანუ განაჩენი არ არის, მაგრამ რასაც ქალბატონი მაია მწარიაშვილი ასე მწარედ წერს, იმის ნახევარიც რომ მართალი აღმოჩნდეს (და აღმოჩნდება კიდეც, ის კი არა, ალბათ უფრო მეტი თანდათან შეემატება) მგზნებარე გენერალურ მდივანს და პოლიციის ყოფილ შეფს დიდხანს მოუწევს ახალციხის რა-



ბათის მხოლოდ სიზმრად ხილვა, „ღრმად შეშფოთებული" ეუთო სულაც დანას რომ დაეხიოს.

და უტევს „ნაცმოძრაობა" „ქართულ ოცნებას", იჭინთება მშობიარე ქალივით, მაგრამ ვერა შობს თავის სასარგებლო სიმართლეს. იმიტომ, რომ ეს სიმართლე არ არსებობს, არ ჩასახვია და ძალაა!

„ბრალდებებს" ბოლო არ უჩანს. თქვენ ათასობითი „ჩვენი" ადამიანი გაყარეთ, პოლიტიკური ნიშნით სამსახურებიდან: გამგეობებიდან, საკრებულოებიდან, სამინისტროებიდანო.

და აქ ნაცური გარიყრაყიდან მახსენდება — ეკონომიკის უდღეურ-უმწიფარი მინისტრი, ნაცმოძრაობის ხატი და სახე გიორგი რეხვიაშვილი: 40 წლის ხეც არ მინდა ეზოშიო, რომ გამოაცხადა ზემოდან ჩაწოდებით. მოხვეტეს ერთიანად ოთხ ათეულს გადაბიჯებულნი (სწორედაც პოლიტიკური მოსაზრებით, თავიანთ მხარდამჭერებს გაუწალდეს გზა!) საჯარო სამსახურებიდან! მაშინ იყო სკვერები და საერთო ეზოები რომ გაივსო ბუღა-ბუღა დომინოს მოთამაშეებით. რამდენი ოჯახი გაუბედურდა, რამდენი ჯან-ღონით სავსე კაცმა და ქალმა დატოვა სახლები და გაუდგა რუსეთ-თურქეთ-საბერძნეთ-კვიპროსის გზას, ლუკმაპურის საშოვნელად...

და ეს რევოლუციონერები დღეს „ბრალს უყენებენ" ხელისუფლებას თავიანთი ათასობით მხარდამჭერის „პოლიტიკური მოსაზრებით" სამსახურებიდან გამოყრაში.

საპარლამენტო უმცირესობამ ბოიკოტი გამოაცხადა წინა კვირაში 23 კაცის ეკონომიკური დანაშაულის ბრალდებით ხმაურიანი დაკავებების გამო, როცა აქ ნატოს დელეგაცია იყო ვიზიტითო. სააკაშვილმაც, ბაქრაძემაც, სხვებმაც, ამ დროს ბატონმა პრეზიდენტმა ღრმად და ბოლომდე გამოავლინა თავის გულნამცეცობა და უბადრუკობა.

ერთმა ჩვენმა კოლეგამ იცის ხოლმე ასეთ დროს თქმა, ამ ჩემს ფეხებს თუ იყოო.

ისე, კაცმა რომ თქვას, მართლაც — ამ ჩემს ფეხებს! იმ დელეგაციამ თავისი საქმე აკეთა, ჩვენმა სამართალდამცავებმა — თავისი.

მოდით ასე ვთქვათ: ნატოელთა დასანახად ის ხმაურიანი მასობრივი დაკავება ჩვენთვის დიაღაც მომგებიანი არ იყო. მაგრამ იმავდროულად სწორედ ამიტომ მომგებიანიც იყო: აქციამ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ეს არ იყო პოლიტიზებული ქმედება, რომ ის ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ დაუგეგმავს და არ განუხორციელებია, სამართალდამცავმა ორგანოებმა ზემოდან კარნახის გარეშე დააკავეს სახელმწიფო სამსახურების გაფლანგვაში (ლაპარაკია 50 მილიონამდე ლარზე) ეჭვმიტანილნი.

რა საჭირო იყო ადამიანების სახალხოდ დაკავება, მათთვის ხელბორკილების დადება და, ამის ტელევიზიით ჩვენებაო.

ეჰ ჩემო იმანო, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, რამდენი კადრი გვინახავს გაოგნებულ მინისტრს, პატივსაცემ, სოლიდურ კაცს რომ მოარბენინებდნენ ხელბორკილით (მაგალითად ადეიშვილი), საწოლ ოთახში რომ შეუვარდით ქუთაისში ნიფხავ-პერანგიან ბონდო შალიკიანს და მის ცოლს, ქარელთან შიშველი მეძავები რომ წამოყარეთ ლოგინებიდან!.. თუ, რაკი მეძავია, უფლება გაქვს გამოაჭენო როგორც მოგესურვება. მეძავი ჩიჩოლინა იტალიის პარლამენტის წევრი გახლდათ და არანაკლებ ღირსეული, ვიდრე ჩვენი ზოგიერთი ენაწაგდებული დეპუტატია (ქალიც და კაციც).

ამაზე პარადოქსული რა უნდა იყოს: უმცირესობის ბოიკოტის შესახებ სამყაროს ამცნო დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა, სახალხო კონტროლის ყოფილმა თავმჯომარემ. არადა ორიოდ დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ მის ყოფილ საუფლისწულო მამულს — ფინანსთა სამინისტრო დიდ დარღვევაში სდებს ბრალს, უამრავი ყოვლად მოუთმენელი სახელმწიფო სახსრებია გაცემული პრემიებად...

ისე აშკარად ეტყობა: რქებდამტვრეული ნაცმოძრაობა „დიალოგს" ითხოვს. მაგრამ ჯერჯერობით ამ „დიალოგის" ალბათობა ჰაერშია გამოკიდებული. იმ დღეს ერთ-ერთ ტელეარხზე ინტერაქტიური გამოკითხვა ჩატარდა: „უნდა გაიმართოს თუ არა დიალოგი ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის?" 15 ათასი გამოკითხულიდან მხოლოდ 5291 კაცმა უპასუხა დიახო, 10288-მ კი შორს დაიჭირა!

აი ეს არის ხალხის პასუხი:

*ისე აშკარად ეტყობა: რქებდამტვრეული ნაცმოძრაობა „დიალოგს" ითხოვს. მაგრამ ჯერჯერობით ამ „დიალოგის" ალბათობა ჰაერშია გამოკიდებული. იმ დღეს ერთ-ერთ ტელეარხზე ინტერაქტიური გამოკითხვა ჩატარდა: „უნდა გაიმართოს თუ არა დიალოგი ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის?" 15 ათასი გამოკითხულიდან მხოლოდ 5291 კაცმა უპასუხა დიახო, 10288-მ კი შორს დაიჭირა!*
*აი ეს არის ხალხის პასუხი.*

და ეს უნდა გაითვალისწინოს უმცირესობამ, „თორემ ჰერი და ხალხის შურისძიება ძუ მგელივით მოგახტებათ"!

ზოგიერთ მეტ-ნაკლებად გამჭრიახ ნაცს, მაგალითად დავით ბაქრაძეს, კარგად აქვს გასიგრძეგანებული ამ საფრთხის რეალობა. ამიტომ აცხადებს, ჩვენ თავის დროზე ბევრი შეცდომა (დანაშაულიო, ამის თქმას მაინც ვერ ბედავს) მოგვივიდა, რისთვისაც პასუხისმგებლობასაც ვიღებ და ბოდიშსაც ვიხდიო. როგორც თქვეს, დაახლოებით ასეთი რამ ყოვლად შეუვალ გიგა ბოკერიასაც კი დაუწერია, რომელიღაც გაზეთში.

დავით ბაქრაძემ თავისი გამჭრიახობა გუშინაც ქუთაისში გამართულ ნაცმოძრაობის პრაიმერის პირველ ტურშიც დაამტკიცა და გავიდა კიდეც პრეზიდენტობის კანდიდატად. სხვათა შორის იქვე გაასაჯაროვა თავისი უუნარობა და ფანფარონობა გია ბარამიძემ. მაგრამ პრაიმერი იმით უფრო იყო დასამახსოვრებელი, რომ მასში პოლიტიკური გამოცანა შოთა მალაშხიაც მონაწილეობდა, რომელიც კაცმა არ იცის, რა მანქანებით მოხვდა იმ კომპანიაში. სახეზე აშკარად ეწერა, რომ თვითონაც გაოცებული იყო და სულ იმას ფიქრობდა, მართლა რომ გავიმარჯვო, რა მეშველებაო. უბედურ საქართველოს რა ეშველებოდა, თორემ მალაშხიასნაირი შემთხვევითი კაცი საპარლამენტო ოპოზიციაშიც ბევრია და გულზე ხელი რომ დავიდოთ — უმრავლესობაშიც. ამიტომ თავს გაიტანდა, ეჭვი არავის შეეპაროს.

ბოდიშის მოხდა, თავისთავად, ცუდი როდია, მაგრამ ის უფრო აჯობებს, თუ მთელი საპარლამენტო დეპუტაცია გაისიგრძეგანებს იმ „ბევრ შეცდომას" (წაიკითხეთ „ბევრ დანაშაულს") და იტვირთებს პასუხისმგებლობას. თორემ დავით ბაქრაძე რომ ბოდიშს იხდის, ჩიორა იმ დროს დედას იგინება ყოვლად უშვერად, ხოლო გოკა გაბაშვილს სიძულვილისგან თვალები უთეთრდება მოხარშული თევზივით.

ასე სადიალოგოდ კი არა, ეზოში მეზობელთან სალაყბოდ არ დაჯდება კაცი.

შარშან 1 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას", როგორც იტყვიან, ორივე ხელით მივეცი ხმა. ვერ დავმალავ: გასულ ცხრა თვეში სათვალიდან გარკვეულად ჩამომერეცხა ვარდისფერი, ბევრ რამეს უკვე კრიტიკულად ვაფასებ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ არჩევანი შევიცვალე, ამ ნაციონალთა ნარჩენების შემხედვარეს ასეთი რამ როგორ მომივა თავში! უბრალოდ მინდა, რომ ხელისუფლებამ იმოქმედოს უფრო სწრაფად, გაბედულად, შედეგიანად.

მგონი სამართლიანი მოთხოვნაა. ასეთი მოთხოვნა კი უამრავ ადამიანს აქვს, ალბათ ქართული ოცნების მხარდამჭერთა 90 პროცენტს. ეს უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლებამ.

**და რაც უფრო მეტად გაითვალისწინებს, მათი რიგები უფრო შეივსება და შეიკვრება. თორემ რაღაც ცუდად დაღოღიალებს ოპოზიცია, რომელსაც ოდენ ფორმისთვის ჰქვია ეს მჟღერი სახელი, თორემ ისე, სინამდვილეში, ჩასაფრებული აფთარია, სწორედ ის, რაც კი რამ ქვეყანაზე მყრალია, პიპინია ბიძია!**

**ალეკო ალექსიძე**

# შეგნებული სიმართლე თუ სიბეცე?

**„ნაცები" კარგა ხნის წინათ შეარქვეს „ნაცმოძრაობას", მის წევრებს, „ქოცები" კი შედარებით ახალი ტერმინია, „ქართული ოცნებისთვის" შერჩეული. ვინ შეარქვა, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ერთმაც დაიმსახურა ეს შეურაცხმყოფელი სახელი და, ვფიქრობ, მეორესაც მოუხდა, თითქოს, აბრევიატურიდან გამომდინარე, მაგრამ მაინც დამამცირებელი, ჟღერადობით „ნაცის" მსგავსი „ქოცი"! რაც ყველაზე საწყენია, მოუხდა არა მხოლოდ ჟღერადობით, არამედ, არსითაც — „ქართული ოცნება"ისე აშკარად ჩაეხუტა „ნაცმოძრაობას", ისეთი მონდომებით ზრუნავს მის პოლიტიკურ და ფიზიკურ გადარჩენაზე, და იმდენად უმნიშვნელოა სხვაობა მათ მიერ გატარებულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით, საგარეო ხაზით, რომ ტოლობის ნიშნის დასმა დიდ შეცდომად არ ჩაითვლება (ნებით ჩაეხუტა, თუ ძალით ჩაახუტეს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თავის გასამართლებლად მაინც არ გამოდგება!).**

ნაცებზე უამრავია დაწერილი და ისინი დიდი ხნის დასამარებულებიც არიან პრესის ფურცლებზე (სამწუხაროდ,არა — რეალურ ცხოვრებაში!), ქოცებზე კი — შედარებით ცოტა. თუმცა, აშკარაა საშიში ტენდენცია — სულ უფრო მეტი იმედგაცრუებული ადამიანი აკრიტიკებს ხელისუფლებას, მის მიერ ნაცების მიმართ ცხრა თვის მანძილზე გატარებულ კურსს. ჩემთვის და, ალბათ, ბევრისთვისაც ძალიან ძნელია „ქართული ოცნების" ამგვარი, ნაცებთან ასოცირებული სახელით მოხსენიება, მაგრამ ღმერთია მოწამე, დრომ და საქმემ(!) თავისით მოუტანა მათ ეს სახელი, „რაც მოგივა დავითაო...", ტყუილად არაა ნათქვამი.

კოალიციის შემადგენლობაში, უსუფაშვილის და ალასანიას პირველ ვიოლინოებად ყოფნას თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა მათ საქმიანობაში ოდნავ ჩახედული ყოველი ადამიანი, მაგრამ პირადად ივანიშვილისგან წამოსული დაპირებებით ჩასახული იმედები გაცილებით სჭარბობდა ეჭვებს. რას ვიფიქრებდით, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც ივანიშვილი ერთი მხრიდან ერთს ამოიყენებდა გვერდში, და მეორე მხრიდან — მეორეს. ამოყენებას ვინ ჩივის (პოლიტიკაში მოსულა მსგავსი სვლები), უბედურება ისაა, რომ რესპუბლიკელების (ფაქტობრივად, ამერიკელი რესპუბლიკელების, ანუ შაშკინის, ანუ მეხუთე კოლონის!) პოლიტიკა ტარდება დღემდე — ჭეშმარიტი სამართლის აღდგენის სანაცვლოდ „ჩახუტობანას" თამაშს რომ გვთავაზობენ, დამნაშავე ნაცებს რომ „აბლატავებენ" პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან და მათ გადარჩენაზე ჭკუისდამრიგებლური ტონით რომ გვესაუბრებიან, პედერასტებს რომ ექომაგებიან და მართლმადიდებელ ეკლესიას კი ემუქრებიან, საკუთარი გუნდიდან ნაცებისთვის პირში მთქმელს რომ ტუქსავენ და მკვლელებს ან მკვლელობის თანამონაწილეებს კი ბოდიშებს უხდიან! ასე რომ, ქოცები, მათი აქტიური პოლიტიკოსები (ნაცებთან იდენტური წარმომავლობის მქონენი!) აღარც კი ერიდებიან თავიანთი სულიერი სიახლოვის გამჟღავნებას.

**ქართული ოცნების გარიგება ნაცმოძრაობასთან და ხალხის გაცურება, უტყუარად შეიძლება ითქვას, არჩევნების მეორე დღესვე დაიწყო,** როცა მან, ერთი მხრივ, თვალი დახუჭა არნახულ გაყალბებებზე (თუმცა,თავდაპირველად გვპირდებოდნენ, მაჟორიტარ ნაცდეპუტატებს არ დავამტკიცებთ პარლამენტშიო) და ადგილების 43.33 % „გაუპრავა" ნაცებს და, მეორე მხრივ, როცა ნაცებით დაკომპლექტებული საკრებულოების ვადამდელ არჩევნებზე(!) უთხრა უარი ყველა რაიონში საპროტესტოდ, საშიმშილოდ გამოსულ უკიდურესად აღშფოთებულ ხალხს; როცა ქართულმა ოცნებამ პასუხისგებაში კი არ მისცა ან მოხსნა დამნაშავე ნაცები,მათი არჩევნების გზით(!) შეცვლის წინააღმდეგაც წავიდა, და ხალხს დაშლისაკენ, 2014 წლის გაზაფხულამდე მოთმენისკენ მოუწოდა, ვითომდაც მოთხოვნები უკანონო ზეწოლა ყოფილიყოს ადგილობრივ ორგანოებზე! სწორედ ახალი ხელისუფლების ამ, ყოვლად გაუმართლებელმა შემრიგებლურმა პოლიტიკამ მისცა სააკაშვილს და მის ბანდას ყელყელაობის, გაღმა შედავების საშუალება, რასაც ყოველდღე ვუყურებთ ნერვებდაწყვეტილი ადამიანები ტელეეთერში!

ქართული ოცნების მხარდამჭერები ახალი ხელისუფლებისგან, უფრო სწორად ივანიშვილისგან მოელოდნენ, რომ პრეზიდენტად წოდებულ სააკაშვილს პირდაპირ საბრალდებო სკამზე თუ არ დასვამდა (მე თქვენ გეტყვით და, სამხილის სიმცირე შეუშლიდა ხელს!), იმპიჩმენტს მაინც მოუწყობდა, ბოლო-ბოლო პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადის ამოწურვის დროისთვის (2013 წლის 5 იანვრისთვის) მაინც გამოუყვანდა კანონიერ, კონსტიტუციურ წირვას, და უკანონო, ათი თვით ვადის გაგრძელებას მაინც არ დათანხმდებოდა არაფრით! სრულიად მოულოდნელი იყო მისგან იმის გაგონება, რომ მეგობარი „სუდია" არ მაძლევს ამის აღსრულების ნებას, მას უჭირს ჩვენი გაგება და ამ თემაზე პირის გაღებასაც მეგობრულად (ცხადია!) არ გვირჩევსო. თითქმის ასეთნაირად ნათქვამმა ხალხს აფიქრებინა (სავსებით ლოგიკურად), — მხარში უნდა ამოვუდგეთ ივანიშვილს და ჩვენი სოლიდარობით სიმართლე გავატანინოთ, სააკაშვილის წინააღმდეგ „პენალტის" დანიშვნაში დავეხმაროთ. თანაც ლაპარაკი მართლა ჯარიმაზე, დასჯაზე კი არ იყო, არამედ მხოლოდ კონსტიტუციური მოთხოვნის აღსრულებაზე! ერთადერთი მოთხოვნით, სააკაშვილის დროული (არა ვადამდელი!) გადადგომის მოთხოვნით მილიონ ორასი ათასი ხელმოწერა შეგროვდა! განა შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, რომ ამ ხელმომწერი ხალხის მიერ ორი თვის წინათ არჩეული პარლამენტი მათ თხოვნას არ შეისმენდა, სრულ იგნორირებას გაუკეთებდა?! ვინ დაგვარწმუნებს იმაში, რომ მხოლოდ ერთი შედარების მოშველიებით არ მოხერხდებოდა „სუდიასთვის" სიტუაციის ახსნა — გვეთქვა მისთვის ხმამაღლა: გაბედავდა კი კონგრესი ხელი აეკრა 100 (ასი !) მილიონი ამერიკელის (პროპორციულად ხომ ზუსტად ასეთი შეფარდება გამოდის!) ანალოგიურ პეტიციაზე?!

მაგრამ რისი გადადგომა ან იმპიჩმენტი, ამ იმედგაცრუებას კიდევ ავიტანდით როგორმე, „პენალტი" აქეთ დაგვინიშნეს — უზურპატორი პრეზიდენტი თავის ნაციონალებიანად გულში უნდა ჩაიხუტოთ კოჰაბიტაციის რეჟიმშიო! და ჩვენი, „ხალხის ნების გამომხატველი" პარლამენტიც გაგებით მოეკიდა სხვა ხალხის ნების გამომხატველი ორგანოს დირექტივას, მეგობრულ რეკომენდაციას რომ უწოდებენ! ამასაც გადავყლაპავდით (ცოტა გადაგვიყლაპია ძალით, ან მოტყუებულებს საკუთარი ნებით, თუ რა!), მაგრამ გგონიათ ეს „სიამოვნება" გვაკმარეს?! როგორ გეკადრებათ! ახლა, — ნაცმოძრაობას მაშველი რგოლიც უნდა გადავუგდოთ, უნდა გადავარჩინოთ, არ დაიშალოს, თორემ ასეთი საოცნებო (ანუ „ოცნების" შესაფერისი!) ოპოზიციის დალუპვით ჩვენც ხომ დავილუპებითო, გამოგვიცხადა უკვე ჩვენმა მთავარმა რესპუბლიკელმა კანონმდებელმა!

იმდენად დიდი იყო არჩევნებში გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია, რომ, მიუხედავად ხალხის აბსოლუტურად სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფისა, მაინც ძველი, მცდარი „შეგონებები" გვესმოდა: დასაწყისში, — ვაცალოთ, ახლა მოვიდნენ; მერე, — 100 დღე ვაცალოთ, უდანაშაულო პოლიტპატიმრები ხომ გამოუშვეს ციხეებიდან; ბოლოს კი — რა ქნან, სამართალს როგორ აღადგენენ, როცა ნაცებისდროინდელი პროკურორ-მოსამართლეები არიან ადგილებზე, ახლა იუსტიციის საბჭოს აირჩევენ და სამართალიც პურის ჭამას დაიწყებსო. რა თქმა უნდა, ამ ლოგიკაში (სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით) იყო ჭეშმარიტების დიდი მარცვალი, მაგრამ **მეტ-ნაკლებად წესიერი არჩევნები ნაცების დანიშნულმა კაცმა რომ არ უნდა ჩაატაროს — უნივერსიტეტის რექტორი იქნება ეს, თუ იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე, ამას დიდი ცოდნა და გამოცდილება სჭირდება?**

მოსახლეობის 80-85 % ვთანხმდებით, რომ ნაცმოძრაობა დამნაშავე პარტიაა და, რომ იგი აუცილებლად უნდა გასამართლდეს. როგორ შეიძლებოდა ყველანაირ ცოდვაში (ხაზინაში ხელის ფათურით დაწყებული, მკვლელობებით და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებებით დამთავრებული) დადანაშაულებული ორგანიზაციისთვის „ქართულ ოცნებას" სახელმწიფოს მართვის უამრავი ბერკეტი დაეტოვებინა თითქმის ყველა დონეზე?! ეს ხომ იგივეა, მტერი დაამარცხო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და იარაღი, თანაც, დაახლოებით იმდენივე, რამდენიც შენ გაქვს (თუ მეტი არა!), მას ჩაუტოვო ხელში!

**შეგნებული სიმუხთლე თუ არა, სიბეცე ნამდვილად არის, როცა სამართლის აღსადგენად მოფიქრებული უმნიშვნელოვანესი არჩევნების ჩატარებას კუბლაშვილს ანდობ, ხოლო თვით იუსტიციის საბჭოს არჩევას — დამნაშავე მოსამართლეებს** (ასეთია დღევანდელ მოსამართლეთა 75-80%, ან მეტიც!). ვინც გინდათ, ის აირჩიეთ თქვენი წრიდან, თანაც, ფარული კენჭისყრითო! ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო! ღია კენჭისყრით ის მაინც ეცოდინებოდა მთელ საქართველოს, თუ ვინ ვინ არის მოსამართლეთა კორპუსში. ახლა რომ გაიძახიან: სირცხვილი მოსამართლეებო, ეს რა ხალხი აირჩიეთ იუსტიციის საბჭოშიო, — ეს შედეგი რა, ძნელი გასათვლელი იყო?! როცა ყველაფერზე ხელისმომწერ მოსამართლეებს ჰპირდებოდნენ: კი გაქვთ „ნაჭამი" ბევრი, მაგრამ ყველაფერს გაპატიებთ, ოღონდ ამჯერად პატიოსანი ხალხი აირჩიეთ იუსტიციის საბჭოშიო, ეს ხომ მგლის თავზე სახარების კითხვასავით იყო! ადამიანი ცხრა წელი რომ დანაშაულს სჩადის, 99.9 %-ში გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს და ახალაია-კალმახელიძის ჯოჯოხეთში საწამებლად უშვებს უდანაშაულო ხალხს, ასეთ კაცს კაცთმოყვარედ აქცევ შენი სიტყვიერი გარანტიებით მეათე წელს?! გასვრილი მოსამართლეები მათსავით დამნაშავე მოსამართლეებს რომ აირჩევდნენ, ძაღლი ძაღლის ტყავს რომ არ დახევდა, ძნელი გამოსაცნობი სულაც არ იყო, ამის მიხვედრას არც იურიდიული განათლება სჭირდებოდა და არც მრავალწლიანი გამოცდილება.

ახლა უნივერსიტეტების რექტორების არჩევნები განვიხილოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. თუნდაც მართლა გადამდგარიყო ამჟამინდელი რექტორი და პრემიერსაც თავისი ნდობით აღჭურვილი პირი ჰყავდეს უკვე დანიშნული მოვალეობის დროებით შემსრულებლად, რექტორის არჩევას თუ ისევ არსებულ, ანუ ნაცების დანიშნული(!) ადამიანებით დაკომპლექტებულ სამეცნიერო საბჭოს მივანდობთ და არჩევნებს აქაც ფარული კენჭისყრით ჩავატარებთ, განა იმ შედეგს მივიღებთ, რასაც ობიექტური არჩევნებისგან მოველით?! გაბაშვილ-მინაშვილ-თაქთაქიშვილებს თუ მივანდობთ არჩევნებს (სადაც არ უნდა ტარდებოდეს), ისინი რა, ივანიშვილს და ივანიშვილისნაირებს აირჩევენ?! როცა ნაცების დანიშნულ ამრჩევებს ვერ ვცვლით, მაშინ ღია კენჭისყრა ყველაზე კარგი ლუსტრაციის საშუალებაა!

**იაკობ ლეჟავა.**

(დასასრული იქნება)

## ნაცები და ქოცები



## ◎ ალიან-ჩალიანი

### კულტურის ძეგლების აღდგენაზე პრეზიდენტი კატეგორიულად არ აწერს ხელს

**საქართველოსა და თურქეთში საერთო კულტურის ძეგლების აღდგენა-რესტავრაციის შესახებ დოკუმენტზე პრეზიდენტს ხელი კვლავ არ მოუწერია.**



როგორც კულტურის სამინისტროში, ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე მინისტრმა გურამ ოდიშარიამ განაცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაციისაგან წერილობითი პასუხი აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით კვლავაც არ მიუღიათ. ამის მიუხედავად, ოდიშარიამ აღნიშნა, რომ სამინისტრო გულხელდაკრეფილი არ არის და საკუთარი კონტაქტებით ცდილობს, თურქეთის კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით შედგეს ქართველი სპეციალისტების კიდევ ერთხელ იშხანში ჩასვლა და იქ ტაძარზე მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებზე დაკვირვება.

ოდიშარიას თქმით, ივნისში, ბაქოში, მინისტერიალზე იმყოფებოდა, სადაც თურქეთის კულტურის მინისტრის მოადგილეს შეხვდა და თხოვნით კიდევ ერთხელ მიმართა, რომ ქართველი სპეციალისტების ჯგუფი იშხანში დაუშვან. ოდიშარიამ აღნიშნა, რომ ამ მხრივ სიტუაცია რთულია. თურქეთსა და საქართველოს შორის საერთო ხელშეკრულების გაფორმებამდე, საქართველოს მხარეს ტაძრებზე აღდგენით პროცესებში მონაწილეობის უფლება არ ეძლევა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოსა და თურქეთში საერთო კულტურის ძეგლების აღდგენაზე ხელშეკრულება პრეზიდენტს ხელმოსაწერად თებერვალში გადაუგზავნა. პრეზიდენტი ამ ხელშეკრულებას ხელს იმის გამო არ აწერს, რომ ეს დოკუმენტი რაბათზე გარკვეულ ცვლილებებს ითვალისწინებს.

### სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება პირველ იანვრამდე გადავადდა

ბაზრობებზე მოვაჭრეებს სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება 2014 წლის 1 იანვრამდე გადაუვადდათ. ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ, გასულ კვირას „საგადასახადო კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც, მოვაჭრეთა ამ კატეგორიას სალარო აპარატებთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათი მომავალი წლის ბოლომდე გაუგრძელდათ. აქამდე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, მათ სალარო აპარატების გარეშე საქმიანობის უფლება სწორედ დღეიდან — 1 ივლისიდან ეწურებოდათ.

**ინტერპრესი**

№122. სამშაბათი, 2 ივლისი, 2013 წელი.

# სოფელი „იმედი“ – ვისთვის?



**2013 წლის 27 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ მთავარ საინფორმაციო პროგრამა „ქრონიკაში“ გავიდა სიუჟეტი იმის შესახებ, რომ საპატრიარქოსთან არსებული ორგანიზაცია „ამაღლება-2012“-ის ხელმძღვანელობითა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, აგრეთვე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით, თბილისთან ახლოს, გარდაბნის რაიონის სოფელ თელეთის მიდამოებში, საფუძველი ჩაეყარა სოფელ „იმედის“ მშენებლობას, რომელიც როგორც სიუჟეტიდან გაირკვა, გათვალისწინებულია „ისტორიული ქართველებისა“ და „ემიგრაციიდან დაბრუნებული ჩვენებურებისათვის.“ უფრო მეტიც, თურმე აღნიშნული პროექტის ფარგლებში აქ დაბრუნებულ ოჯახებს უსასყიდლოდ გადაეცემათ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ოთხასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით (რომელიც უკვე გამოყოფილი ყოფილა), რითაც ამ ღონისძიების ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ხელს შეუწყობენ ჩვენი ყოფილი თანამემამულეების რეპატრიაციას. ამის საილუსტრაციოდ სიუჟეტში ერთ-ერთ მაგალითად მოყვანილი იყო აშშ-ში, ქ. ჩიკაგოს ქართულ დიასპორასთან შეხვედრა, რამაც თურმე სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველების ანალოგიურად, მათშიც საკმაო ინტერესი გამოიწვია.**

ამ სიუჟეტმა ჩვენში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა გააჩინა და ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ დასმული პრობლემის ირგვლივ ჩვენი მოსაზრებები ფართო საზოგადოებისთვის გაგვეზიარებინა.

დავიწყოთ იმით, რომ ვიკითხოთ – რა მიზნებს შეიძლება ემსახურებოდეს აღნიშნული პროექტი? ალბათ, თავისთავად კეთილშობილურს, – ჩვენი ყოფილი თანამემამულეების რეპატრიაციას. მაგრამ ვინ არიან ისინი, ვის დაბრუნებასაც ვაპირებთ? ჯერ გავაანალიზოთ ტერმინი – „ისტორიული ქართველები.“ ასეთი „ისტორიული ქართველები“ საქართველოს მართლაც ბევრი ჰყავს მსოფლიოში მიმობნეული. ძირითადად ესენი არიან: დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველური წარმოშობის ადამიანები, რომლებიც იქ ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებზე (ტაო-კლარჯეთი) დარჩენილი ჩვენი იმდროინდელი თანამემამულეების შთამომავლები არიან; მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ ქართლ-კახეთიდან ირანში გადასახლებული ქართველების შთამომავლები; შედარებით გვიან, მე-20 საუკუნის დასაწყისში ისტორიული ჰერეთის საქართველოდან ჩამოცილების გამო, ქართველები აღმოჩნდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც; მეორე მსოფლიო ომის დროს სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული ე.წ. „თურქი მესხები“ და სხვ.

თუკი ამ კატეგორიის ადამიანების რეპატრიაციაზეა საუბარი (რაც, სამწუხაროდ, სიუჟეტიდან არ ჩანდა), ბუნებრივია, ამაზე პირველ რიგში სახელმწიფომ და მისმა ბიუჯეტმა უნდა იზრუნოს და არა რომელიმე ცალკე აღებულმა ორგანიზაციამ და მით უფრო შემოწირულობების მეშვეობით. ამასთან, გასათვალისწინებელია ჩამოსასახლებელი კონტინგენტის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობებიც, რათა მათზე გაწეული ხარჯი მძიმე ტვირთად არ დააწვეს გადასახადის გადამხდელ ადგილობრივ მოსახლეობას და მათი უკმაყოფილება არ გამოიწვიოს. უფრო მეტიც, ყველაფერი ეს უნდა იყოს ქვეყნის ერთიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემადგენელი ნაწილი.

მეორე მხრივ, „ემიგრაციიდან დაბრუნებულ ჩვენებურებს“ ალბათ, მიეკუთვნებიან არა იძულებით, არამედ საკუთარი ნებით საქართველოდან წასული ჩვენი თანამოქალაქენი, რომელთა რიცხვიც განსაკუთრებით ბოლო ოცი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. ესენი ძირითადად არიან ან ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (ძირითადად რუსეთში, უკრაინასა და ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში) მცხოვრები ქართველები (რომლებიც შესაძლოა, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აღმოჩნდნენ იქ), ან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, საქართველოში შექმნილი უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური კატაკლიზმების გამო საქართველოდან წასული ქართველები, რომლებმაც საკმაოდ გააფართოვეს მსოფლიოში ქართველების განსახლების არეალი და დროებით ან მუდმივად (ლეგალურად თუ არალეგალურად) ცხოვრობენ, როგორც ევროპის (საბერძნეთი, თურქეთი, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია დასხვა), ასევე ამერიკის (აშშ, კანადა) კონტინენტზეც.

ჩვენი თანამემამულეების ეს უკანასკნელი კატეგორია, ანუ ბოლო დროს ნებაყოფლობით წასულები, აღმოჩნდენ ბიბლიური იოსების მსგავსად თითქოსდა ღმერთის მიერ ჩვენი „სიცოცხლის სახსრად გაგზავნილი“ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი შრომით ბევრი აქ დარჩენილი ნათესავი იხსნეს შიმშილისაგან. უფრო მეტიც, მათი აქ დარჩენით, შესაძლოა, კიდევ უფრო დამძიმებულიყო ქვეყნის ეკონომიკური და, შესაბამისად, სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობაც. ასე რომ, მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობაც დიდი მადლიერია მათი და ყოველთვის მიესალმება მათ სამშობლოში დაბრუნებას. თუმცა, არც იმის ილუზია გვაქვს, რომ საქართველოდან ემიგრირებული ყველა ჩვენი თანამემამულე მოისურვებს დაბრუნებას საქართველოში, რამეთუ ბევრმა მათგანმა საქართველოს გარეთ იპოვა თავისი ბედნიერება, შექმნა ოჯახი, მოეკიდა საქმიანობას და ახლა არც ისე ადვილია ამდენი წლის შემდეგ უკან დაბრუნება. ასე რომ, წასულთაგან გარკვეული ნაწილი უკან დაბრუნებას არც კი მოისურვებს. მაგრამ ეს მათი და მათი ოჯახების გადასაწყვეტი საკითხია. ჩვენ კი, გვინდა მკითხველის ყურადღება იმაზე გავამახვილოთ, რომ ზემოთ აღნიშნული საკუთარი სახლები და მიწის ნაკვეთები, როგორც ჩანს, ამ კატეგორიის ადამიანებისთვის არ უნდა იყოს განკუთვნილი, რამეთუ მათ აბსოლუტურ უმრავლესობას აქ სახლ-კარიც აქვს და მათი ფულადი გზავნილების მეშვეობით ბევრი მათგანის ოჯახმა უკვე საგრძნობლადაც გაიუმჯობესა მდგომარეობა და თვითონვე არიან ახლად შეძენილი ბინებისა და სახლების გამქირავებლებიც. ასე რომ, ემიგრანტთა ეს კატეგორია ნამდვილად არ საჭიროებს ორსართულიანი სახლისა და ნაკვეთის ჩუქებას, მით უფრო, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი ისეთი ოჯახია, რომლებსაც მართლა არა აქვთ თავშესაფარი, ან ჯერ კიდევ უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობები აქვთ.

ამ ფონზე, ვფიქრობთ, იმიგრანტებისათვის (თანაც არც კი ვიცით რა კატეგორიის იმიგრანტებისთვის) საკუთარი სახლებისა და მიწის ნაკვეთების უფასოდ გადაცემა არ უნდა იყოს მიზანშეწონილი და გამართლებული ღონისძიება, მით უფრო, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არა აქვს ერთიანი, ჩამოყალიბებული პოზიცია მიგრაციული და, საერთოდ, დემოგრაფიული პროცესების მართვასთან დაკავშირებით. ამიტომაც, უკეთესი იქნება, თუკი აღნიშნული ორგანიზაციები უფრო მეტ სიცხადეს შეიტანენ თავიანთი გადაწყვეტილებების დასაბუთებაში და მკაფიოდ აუხსნიან ჩვენს მოსახლეობას, თუ ვის უნდა აჩუქოს საქართველომ ორსართულიანი საკუთარი სახლი 400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთით ახლად დაარსებულ სოფელ „იმედში.“

**ანზორ სახვაძე,**
**დემოგრაფი, პროფესორი**

---

# სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობის“ შედეგები განახევრდება

**1984-85 წლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში 8-9 ათასი პატიმარი იყო. 2004 წელს, „ვარდოსნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთვის, მათი რაოდენობა 7 ათასს არ აღემატებოდა. სააკაშვილის მიერ „ნულოვანი ტოლერანტობის“ გამოცხადების შემდეგ ტუსაღთა რაოდენობამ კატასტროფულად იწყო მატება და პიკს 2011 წელს მიაღწია, როდესაც ციხე-კოლონიებში სასჯელს (ოფიციალური მონაცემებით) 27850 (არაოფიციალურით უფრო მეტი) მსჯავრდებული იხდიდა. არჩევნებამდე პრეზიდენტმა რამდენიმე ამნისტია და შეწყალების აქტი გამოსცა და სასჯელმისჯილთა რაოდენობა 22 ათასამდე შემცირდა.**

**სასჯელის აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული მომსახურების სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით 2013 წლის მარტის ბოლოს საპატიმროებში სულ 10536 პატიმარი იყო. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მათმა რაოდენობამ 13431 მსჯავრდებულით, ანუ 56 პროცენტით დაიკლო.**

### ფულის საკეთებელი კონვეიერი

ამჟამად ვადაგასულმა პრეზიდენტმა 2006 წელს პარლამენტს თავს მოახვია ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც მორჩილმა უმრავლესობამ უსიტყვოდ მიიღო. მის წინააღმდეგ არც იმჟამინდელ „ოპოზიციად წოდებულთ“ გამოუღიათ თავი. სააკაშვილის „ნულოვან ტოლერანტობას“ თან დაერთო სასჯელთა შეკრებითობის წესი.

უფლებათა დამცველის დიმიტრი ლორთქიფანიძის განმარტებით, ახალი წესის დანერგვის ძირითადი მიზანი იყო, ბრალდებულებს რაც შეიძლება მეტი თანხა გადაეხადათ საპროცესო შეთანხმებებში. სასჯელთა შეკრებითობა კი ულმობელი იყო. დანაშაულის ერთობლიობით გათვალისწინებული ზღვარი 30 წელი იყო, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით უფრო მეტი – 40 წელი.

სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ისეთი პარადოქსიც კი დაუშვეს კანონმდებლობაში, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთილ პირთათვის სასჯელის გადახედვის ვადა სასჯელის დინებიდან 25-ე წელი დაწესდა, ხოლო თუნდაც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობით 40 წლით სასჯელმისჯილთათვის – 30-ე წელი(?!)

სასჯელები იმდენად მკაცრი, ხოლო ციხე-კოლონიებში პატიმართა მიმართ მოპყრობა ისეთი არაადამიანური იყო, რომ არათუ მძიმე, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენისათვის სასჯელთა ერთობლიობა 30 და 40 წლამდე პატიმრობით იმუქრებოდა, რაც პიროვნების ფაქტობრივ განწირვას ნიშნავდა. უფლებადამცველთა განმარტებით ოჯახის წევრის, ახლობლის სამუდამოდ დაკარგვის შიშით, ყიდდნენ ყველაფერს, რათა საპროცესო გარიგების თანხა დაეფარათ. ამ მიზეზით ბევრი ოჯახი განადგურდა. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ბანკებში ჩადებული უძრავი ქონების დიდი პროცენტული მაჩვენებელი, სწორედ ამგვარ ოჯახებზე მოდის. ისინი თანხებს ვეღარ იხდიან. ბანკები ქონებას უყიდიან. ხალხი ღია ცის ქვეშაა დარჩენილი, ყოველგვარი საარსებო სახსრის გარეშე.

სწორედ სხვის უბედურებაზე ააგეს თავიანთი პირადული ბედნიერება „ნაცების“ ელიტარულმა წარმომადგენლებმა. ჯარიმებზე ამბობდნენ, რომ ბიუჯეტში შედისო, მაგრამ ხაზინას ხომ მხოლოდ სააკაშვილი და მასთან დაახლოებული რამდენიმე კაცი განსაზღვრავდა ყოველგვარი გამჭვირვალობის გარეშე.

თუ დიმიტრი ლორთქიფანიძეს სიტყვებს დავესესხებით, საპროცესო შეთანხმების არსი იყო მოსახლეობიდან რაც შეიძლება მეტი თანხის ამოღება. ამ პრაქტიკის გამოყენება ნაცებმა კონვეიერული სისწრაფით დაიწყეს. ერთგვარი „სოციალისტური შეჯიბრება“ გამოცხადდა პროკურატურებს შორის – ვინ მეტს ამოიღებდა. ამ მხრივ ლიდერობდა ისნის რაიონი. მათ ჰყავდათ სისასტიკით განთქმული პროკურორი დავით გაგნიძე. იგი არნახულ და კოლოსალურ თანხებს „აწერდა“ საპატიმროდ განწირულებს. მოსამართლეები ხომ იმ დროს მხოლოდ სტატისტობით როდი შემოიფარგლებოდნენ. მათ ნოტარიუსის უფლებაც კი ჰქონდათ წართმეული (ახლა ამოიდგეს ენა და თავიანთი უფლებების დასაცავად და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე ალაპარაკდნენ).

„ვარდოსნებმა“ იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ 2009 წელს ნარკოტიკული დანაშაულისათვის ბიუჯეტში 30 მლნ ლარი შევიდა ჯარიმებიდან და საპროცესო გარიგებებიდან. ეს ოფიციალურად, არაოფიციალურად კი, სპეციალისტების განმარტებით, თანხამ 50 მლნ-ს გადააჭარბა. ამის შემდეგ „ნაციონალებს“ შესული თანხის დეტალური ანგარიში აღარ გამოუქვეყნებიათ. ქვეყნდებოდა საერთო რაოდენობა ჯარიმებისა და შეთანხმებებისაგან შესული თანხისა.

ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, 2011 წელს, მაშინდელმა პრემიერმა გილაურმა დამსწრეთ წარუდგინა წინა წლის ბიუჯეტის ანგარიში. როდესაც საუბარი საპროცესოებსა და ჯარიმებს შეეხო, პრემიერმა ამ სანქციებით ხაზინაში შემოსული თანხა დაასახელა – 458 მლნ ლარი. და იქვე დასძინა, რომ მიმდინარე წელს იგეგმება 60 მილიონიო. როდესაც ჰკითხეს, როგორ ადგენთ მოსალოდნელი დანაშაულიდან შემოსული თანხების რაოდენობას, იმავდროულად აცხადებთ, რომ კრიმინალი წლიდან წლამდე კლებულობსო, გილაური დაიბნა, ათასი აბდაუბდა ილაპარაკა და ბოლოს თქვა – ასე გვაქვს გაწერილიო?!

ჟურნალისტებმა კითხვები დააყარეს პრემიერს, სად მიდის სანქციებიდან შემოსული თანხები. გილაურმა თქვა, რომ ფული სპეცანგარიშებზე ირიცხება, ესაო, ისაო და ბოლოს რომ აღარ მოასვენეს, მდგომარეობიდან გამოსულმა იყვირა: – არ ვიციო. სააკაშვილის გუნდი პრემიერსაც არ აყენებდა საქმის კურსში ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. ეტყობა ყავლგასულ პრეზიდენტს ივანიშვილიც ამგვარ პრემიერ-მინისტრად უნდოდა...

### პატიმართა რაოდენობა განახევრდება

დღეს შეკრებილი სასჯელებით მსჯავრს 2200 პატიმარი იხდის, რაც ტუსაღთა საერთო რაოდენობის 20 პროცენტია.

უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ამნისტიის აქტის აღსრულების შემდეგ, სასჯელის აღსრულების დაწესებულებები 10-ათასამდე პირმა დატოვა. სასჯელთა შეკრების წესის გაუქმება კი პატიმრების რაოდენობას მინიმუმ გაანახევრებს.

უფლებადამცველი განმარტავს, რომ სასჯელის შეკრების ახლებურად გააზრება მათ ციხეებიდან პირდაპირ კი არ გამოიყვანს, არამედ ბევრი პატიმრისათვის პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების საკითხი დადგება, ანუ საკანონმდებლო პროცედურიდან გამომდინარე, მსჯავრდებულს თავისუფლებაზე გამოსვლის შანსი უჩნდება.

სასჯელთა შეკრებითობის წესის გაუქმების შედეგად ქვეყანაში 5-7 ათასი პატიმარი დარჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში 19 სასჯელის აღსრულების დაწესებულების არსებობის საჭიროება აღარ იქნება (ცნობისთვის: გლდანის მე-8 საპყრობილე იტევს 3500 კაცს, ცოტა უფრო მეტს – რუსთავის 1-ლი, მე-2 და მე-6 ე. წ. დაწესებულებები, რაც სრულიად საკმარისი იქნება).

კანონპროექტის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევაში, მოსამართლის მიერ სასჯელის გამოტანის შემთხვევაში, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს. ცვლილებების პროექტი ცალკე გამოყოფს და არეგულირებს დანაშაულის რეციდივს, ანუ შემთხვევას, როცა განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, ასევე განზრახ დანაშაულის ახალ ფაქტს ჩაიდენს. ამ შემთხვევაში მოსამართლე წყვეტს, გამოიყენოს თუ არა სასჯელთა შთანთქმის წესი, ან მთლიანად შეკრების დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები. თუ მოსამართლე ამ უკანასკნელისაკენ გადაიხარა, კანონპროექტის მიხედვით პატიმრობის ვადა 30 დღეს არ უნდა აღემატებოდეს.

**ზაზა ბილიხოძე.**

**P. S. ამნისტიის, შეწყალების აქციებს, სასჯელთა შეკრებითობის წესის გაუქმებას მიესალმებიან დემოგრაფები. მათი განმარტებით „ნულოვან ტოლერანტობას, სასჯელთა კრებითობას არაერთი ოჯახი ემსხვერპლათ, და დაინგრა. მცირეწლოვანი, არასრულწლოვანი ბავშვები მრავალი წლით მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ ერთ-ერთ მშობელს (ძირითადად, მამას). და რაც ყველაზე საგანგაშოდ მიაჩნიათ სპეციალისტებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად (ალბათ, უფრო შეგნებულად – ზ. ბ.) სააკაშვილის ხელისუფლება სპობდა ქვეყნის გენოფონდს. გაუმართლებლად მაღალი სასჯელების 72 პროცენტი მისჯილი ჰქონდა 18-დან 40 წლამდე მოქალაქეებს. ამ ასაკს დემოგრაფები ყველაზე რეპროდუქციულად მიიჩნევენ (დაოჯახება, გამრავლება), რაც სულაც არ აღელვებდათ „ნაციონალებს“.**

**ზ. ბ.**

№122. სამშაბათი, 2 ივლისი, 2013 წელი.

# კიდევ ერთხელ იმაზე, თუ რა ხდება ჩვენს თავს,

## ანუ მხოლოდ ზნეობაზე დაფუძნებული განათლება გადაგვარჩენს

„მნიშვნელოვანია სხეულის ჯანმრთელობა, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სულიერი ჯანმრთელობა, და იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც სული სხეულს აღემატება“

წმიდა იოანე ოქროპირი



ჩვენ თაობას არაჩვეულებრივი მასწავლებლები ჰყავდა. მე ჩემს სკოლაზე ვიტყვი, პირველ საშუალო სკოლაზე, რომელსაც დღეს კლასიკური გიმნაზია ჰქვია. ისეთი პიროვნებები გვასწავლიდნენ, რომელთა სახელი სკოლისა და ქალაქის გარეთაც ფართოდ იყო ცნობილი: **ნინო ალადაშვილი, ირა ბალოტინა, სევერიან კაშია, ნინო ვარდიაშვილი, შოთა აბაიშვილი, სერგო ჯოჯუა, ეთერ ტაბიძე, გრიშა ბარამიძე, ნიკოლოზ კიკვაძე, ლილი ქაჯაია, ლიანა პაქსაშვილი, შალვა ფანჩულიძე, ლალი გაფრინდაშვილი, თალიკო გაბუნია, ნანული რატიანი, ჟორა ოქრუაშვილი, სვეტა ფანგანი** და მრავალი სხვა. ვამაყობ, რომ ჩემს მშობლებთან ერთად ამ არაჩვეულებრივმა ადამიანებმა ჩამინერგეს სამშობლოს სიყვარული და მაზიარეს შრომით განცდილ ბედნიერებას. ჩვენი მშობლების თაობას და ჩვენც მასწავლებელი გაღმერთებული გვყავდა და ვერც კი წარმოგვედგინა, თუ როგორ შეიძლება მას ჩვეულებრივი, „ადამიანური“, ცხოვრება ჰქონოდა. პირადად მე ეს მითი მრავალი ათეული წელი გამომყვა, ვიდრე 90-იან წლებში ჩემს სათაყვანებელ შოთა აბაიშვილს, შესანიშნავ ფიზიკოსსა და თბილისის კოლორიტს ჩემი პროფესიული დახმარება არ დასჭირდა.

ასეთივე არაჩვეულებრივი პროფესორები მასწავლიდნენ სამედიცინო ინსტიტუტში: **თამარ დეკანოსიძე, ეთერ ბოცვაძე, ვლადიმერ ასათიანი, ვლადიმერ ჟღენტი, ირაკლი ტატიშვილი, მიხეილ ჩაჩავა, ეგნატე ფიფია, მამია კომახიძე, გიორგი ბოჭორიშვილი, თენგიზ ახმეტელი, გიორგი კაკოიშვილი, ვასილ ბაბუხადია, შიო გუგეშაშვილი, ვახტანგ ალადაშვილი, კონსტანტინე ვირსალაძე, გივი ბახტაძე, გურამ გურგენიძე, ბარნაბ კოპალეიშვილი** და მრავალი ღირსეული პიროვნება. ჩვენი თაობა გაიზარდა მათ ზნეობრივ მაგალითზე, **პროფესორ იოსებ ჟორდანიას** მაგალითზე, რომელმაც ატლანტის ოკეანის თავზე ავიაკატასტროფის დროს თავისი მაშველი ჟილეტი სრულიად უცნობ პატარა გოგონას დაუთმო. აი, ასეთი ზნეობის ადამიანების მაგალითებზე ჩამოვყალიბდით ადამიანებად და პროფესიონალებად. შეიძლება ვილაცამ მკითხოს, – კი მაგრამ, უზნეო და კორუმპირებული პიროვნებები არ შეგხვედრიათო? იყვნენ ასეთებიც, მაგრამ ერთეულები და ეს ყველამ იცოდა და ასეთები საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ, დღევანდელი სიტუაციისგან განსხვავებით, როცა ცალკეულ უნივერსიტეტებში მთელი ლაბორატორიები მუშაობენ ქვეყნის დამაქცევარი იდეოლოგიის ხორცშესხმაზე.

ჩემი მასწავლებლები იმიტომ გავიხსენე, რომ მათ არათუ ვინმე შეჰბედავდა, ვერც კი აკადრებდა, რომ თითის ქნევით სამსახურებიდან დათხოვნის მუქარით, ხელისუფლების მხარდამჭერ მიტინგებზე ეხმო, ან მალულად სამადლო სადილებზე დაებარებინა. უფრო მეტიც, მათ ვერავინ დაავალდებულებდა, რომ მშობლებსა და მოსწავლეებთან ხელისუფლების სასარგებლო აგიტაცია ეკისრათ და მით უფრო, კვლავაც სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით, ხელისუფლების მხარდამჭერთა სიები ეგროვებინათ.

მასწავლებელი სკოლაშიც და სკოლის გარეთაც დაფასებული და პატივდებული გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, – წარსულში. ხოლო საქართველოს რეგიონებში ამგვარი დამოკიდებულება მასწავლებლებისადმი კიდევ უფრო თვალშისაცემი იყო. მეტიც, თუკი მასწავლებელი დააფასებდა და სტუმრად ეწვეოდა, ამით ბევრი ოჯახი წლობით ამაყობდა კიდევაც. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ დიდ წვეულებაზე ან სულაც ქორწილში მასწავლებელი თავკაცობდა, ხოლო თუ თამადად სულაც ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე **სიმონ (სიმონიკა) სხირტლაძე** ბრძანდებოდა, იმ პურობაზე ყოფნას არაფერი სჯობდა.

ყოველივე ზემოთქმულზე ასე ვრცლად შეჩერება იმისათვის დამჭირდა, რომ ხაზგასმით წარმომეჩინა რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარებისთვის განათლებული და ზნეკეთილი თაობის არსებობას. ასევე უდავოა, რომ განათლება და მეცნიერება ერთმანეთთან სისხლხორცეულადაა დაკავშირებული.

განათლების სისტემის რეფორმა ურთულესი პროცესია. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით განხორციელებული სისტემური რყევების შედეგად უმეცრების უფსკრულში ჩავიხედეთ და ახლა მხოლოდ გადაუდებელი ღონისძიებები თუ გადაგვარჩენს.

დღევანდელ განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობას რომ ვუყურებ, მინდა ქვეყნის გასაგონად ვიყვირო: **„რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელ სეთურმა... არ ფიქრობთ?! ვერ ხედავთ ამას?!“**

ამიტომაცაა საქართველო კვლავ გზაგასაყარზე.

**ქვეყანა რომ მოსპო და დააქციო უწინარესად ორი სფერო უნდა გაუნადგურო: განათლების სისტემა, რომელიც საზოგადოების სულიერ განვითარება-ფორმირებას ემსახურება და ჯანდაცვა.** ამ სფეროების მეთოდურ განადგურებას სწორედაც დიდი დრო და ენერგია შეალიეს ე.წ. ვარდოსნებმა. ნამდვილ ჯოჯოხეთად გვიქციეს ცხოვრება ( რამდენადაც ჯოჯოხეთი შეუძლებელია მიმზიდველი იყოს, ამიტომაც ეშმაკმა, ვარდოსნების მეცადინეობით, მისკენ სავალი გზა გახადა „მიმზიდველი“). ამ დარგებში აბსოლუტურად არაკომპეტენტური პირებისა და შესაბამისად მთელი სამსახურების მუდმივი ცვლის მიუხედავად, მასწავლებლებისა და ექიმების ცხოვრებაზე, მით უფრო მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, განხორციელებულმა „რეფორმებმა“ უკეთესად არანაირად არ იმოქმედა, უფრო კი პირიქით.

ის, რომ ჯანდაცვაში განხორციელებულ „რეფორმების“ შედეგად ტრადიციული საავადმყოფოების, სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების „ პრიხვატიზაცია“ განხორციელდა, დღეისათვის ყავლგასული, მაგრამ „ვეტოსდამდები“ პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის დიდი „დამსახურებაა“. შედეგად კი მივიღეთ მსოფლიოში უპრეცედენტო ნოვაცია – ჰოსპიტალური სექტორის 100-პროცენტიანი განკერძოება, რასაც **ჯანდაცვის ძირითადი პრინციპების: ხელმისაწვდომობის, ხარისხიანობის, სამართლიანობისა და ხარჯეფექტურობის სრული დაკნინება მოჰყვა**. შესაბამისად აისახა ეს სამედიცინო განათლების განხორციელებაზეც. სასწავლო-აკადემიური მრავალპროფილიანი ჰოსპიტლების გაქრობას, ჯანდაცვის სერვისების ტოტალურ დეგრადაციას, უკვე არაერთ საგაზეთო პუბლიკაციაში შევეხე და სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებშიც ვრცლად ვისაუბრე. გამოსწორების კონკრეტულ გზებზეც გავამახვილე მკითხველისა და ტელეაუდიტორიის ყურადღება. ამიტომ ამაზე აქ აღარ შევჩერდები.

„რეფორმებმა“ უამრავი კითხვა გააჩინა: რა უფრო ფასეულია, – პროფესიონალიზმი თუ ზნეობა? რამდენად საჭიროა მათი გამიჯვნა? ხომ არ ხდება ზნეობრივი საზოგადოების ჩანაცვლება რაღაც ახალი, „ზეზნეობრივი“ ფასეულობების მატარებელი ადამიანებით და ხომ არ არის საქართველო კვლავ ბოცვერებსა და ვირთაგვებზე ექსპერიმენტული კვლევის არეალი? რა ფუნქცია აქვს ყოველივე ამაში ილიაუნს ან თავისუფალ უნივერსიტეტს, როგორც თავისუფლების ინსტიტუტის მთავარ და მძლავრ ლაბორატორიას?

ფაქტია, რომ ქვეყანაში **„რეფორმები“ მეცნიერებისა და განათლების მოძულე ადამიანებმა განახორციელეს,** რომელთაც ამ ასპარეზზე ხელშესახები მიღწევები არ ჰქონიათ. უფრო მეტიც, ეს პირები, ძალზე სათუო, ნახევარფაბრიკატული განათლების მქონენიც არიან. ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთის პრესტიჟული უნივერსიტეტებისა თუ სხვა საგანმანათლებლო ცენტრების სერტიფიკატებით კი ყელყელაობს, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს (და არა მარტო მე!), რომ **„ჩავლა-ჩაქროლებით“ განათლებულობასთან** გვაქვს საქმე. სწორედ მათ მიესადაგება თანამედროვეობის გამოჩენილი ფიზიკოსის სტივენ ჰოკინგის სიტყვები: **„ცოდნის უდიდესი მტერი უმეცრება კი არა, ცოდნის ილუზიაა“**. თუმცა, გაცილებით უფრო საშიშია, როცა „რეფორმებს“ მაღალი აკადემიური ხარისხის მქონე, მაგრამ ბოროტი სულის ადამიანები ახორციელებენ, რომლებიც არა მარტო მიზანმიმართულად მოქმედებენ, არამედ თავიანთ ავ ზრახვებს უკეთ ფუთავენ „ბოლონიის პროცესის“, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ინიციატივების მოთხოვნების მომიზეზებით.

ამდენად, განათლებისა და მეცნიერების გადარჩენაზე საუბარი, შესაბამისად – მეცადინეობა იმის აღსადგენად, რაც, სამწუხაროდ, უკვე გვარიანად შერყეულია, ხოლო ზოგან ჩამოშლილიც კია, საფუძვლიდან უნდა დავიწყოთ.

მყარი საძირკვლის გარეშე შენობის აშენება შეუძლებელია. ამიტომაც ურყევად დგანან მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ისტორიისა და კულტურის ხელთუქმნელი ძეგლები. იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, რომ კლდოვან საძირკველზე აგებული ნაგებობა ისეთივე მყარი იქნებოდა და ათეულობით საუკუნეს გაუძლებდა. საგანგებოდ არჩევდნენ მომავალი ძეგლის მიმდებარე გარემოსაც, დღეს ჩვენ რომ ინფრასტრუქტურას ვეძახით.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ კატასტროფის მასშტაბები, საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ნაცების ხელისუფლების კოშმარული ქმედებები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს თვალწინ ხდებოდა.

**პირველი შეტევა ტრადიციულ ფასეულობებზე განხორციელდა**. ეს კი ოჯახია, მშობლების, წინაპრების, პატივისცემის ტრადიცია. ამით ისინი კომუნისტებისგან ძალიან შორს არც წასულან. ფორმები უფრო დაიხვეწა, „დემოკრატიისა და თავისუფლების“ მანტიით შეიმოსა. იგივე დასმენის, დაბეზღების ინსტიტუტის კულტივირება, ახალი „პავლიკ მოროზოვების“ შექმნა, დასაქმების პროგრამებში მხოლოდ ნაცისტურ-ვარდოსნული იდეოლოგიის ერთგული მოსწავლე სტუდენტობის ჩაბმა და „პატრიოტულ-ხუნვეიბინურ“ ბანაკებში მათი დასვენების უზრუნველყოფა, ტრადიციული სკოლის რღვევა, ავტორიტეტული მეცნიერების „ჩარეცხვა“, მანდატურის, როგორც არა მარტო მოსწავლის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის ზედამხედველის, მოყურადეს სამსახურის დანერგვა და უამრავი სხვა სისაძაგლის ტირაჟირება.

**აღზრდა და განათლება კი ოჯახიდან იწყება, შემდეგ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში გრძელდება. ეს უწყვეტი პროცესია. საქართველო, შესაძლოა, ერთ-ერთია იმ მცირეოდენ ქვეყანათა შორის, სადაც ოჯახურ ტრადიციებს, უფროს-უმცროსობას, სტუმარმასპინძლობას ჯერ კიდევ აქვს შენარჩუნებელი გარკვეული სიმყარე**. ამის დანგრევა, ზემოთ უკვე ვთქვი, კომუნისტებმაც სცადეს, თუმცა, საფუძველი ვერ შეურყიეს. აი, ვარდოსნებმა კი შეძლეს. საერთოდ იმ ავბედითი 9 წლის განმავლობაში მათ შეძლეს **მყარი ადამიანთმოძულე სისტემის ჩამოყალიბება** და, რაც მთავარია, პრაქტიკულად **ყველა სფეროში „ყოვლისმცოდნე“ და „ყოვლისშემძლე“, შუბლისძარღვგაწყვეტილთა მთელი პლეადა შექმნეს, რომლებისთვისაც საუკუნეებით განმტკიცებული ზნეობრივი კატეგორიები აბსოლუტურად სხვა ღირებულებებით ჩანაცვლდა**. კარგად აწობილი „პიარ აქციებიც“ გაშალეს ქვეყნის შიგნით და განსაკუთრებით კი ქვეყნის გარეთ. ამ მიზნით ათობით მილიონი დოლარი დახარჯეს კიდეც. აბა დააკვირდით, დღესაც კი როგორი „ხმალშემართულები“ „იბრძვიან“ ყოველივე იმ სისაძაგლის გამოაშკარავების წინააღმდეგ, რასაც სწორედაც თვითონ ჩაუყარეს საფუძველი და განახორციელეს. რაღაც ტოტალური სიგიჟე გვჭირს, თორემ, აბა, რითი აიხსნება, რომ ტელეკომპანიები და გაზეთები ერთმანეთს ასწრებენ ამ კლონების წარმოჩენით, რომლებიც წარბშეუხრელად, დიდაქტიკური ტონით, ბედავენ მსჯელობას ადამიანების პირადი ცხოვრებისა და ღირსების შემლახველი კადრების ამსახველი ვიდეორგოლებით გამოწვეულ ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ავღანეთის ტრამალებში ქართველი ჯარისკაცების არათანაბარწონადი მსხვერპლის ფონზე გულისამრევად მოთქვამენ ქართველთა ჰომოფობიაზე და მართლმადიდებლობის „სიბნელეზე“. ეს ინდივიდები ბედავენ ლაპარაკს სხვადასხვა კონფესიების დევნაზე საქართველოში, და ეს იმ დროს, როცა ვრცელდება შემზარავი ინფორმაციები წინა სადო-მაზოხისტური რეჟიმის მიერ გაუგონარი და არაადამიანური წამებისა და მკვლელობებისას მსხვერპლთა გოდების საათობით ტკბობის შესახებ. პარალელურად ავტორიტეტულ საერთაშორისო გამოცემებში განგაშია ატეხილი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში ავტოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული ფასეულობების რღვევაზე.

ხშირად მიფიქრია, რომ არ ღირს ამ ნაკაცარ-ნაქალარების ყოველ გაუგონარ სისულელეზე რეაგირება, რადგან ბრიყვთან კამათი უაზრობაა, რამეთუ იგი საკუთარი მდიდარი დემაგოგიური გამოცდილებით დაგჯაბნის. მაგრამ ახალი ხელისუფლებაც რომ სცოდავს? აბა რით შეიძლება აიხსნას ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს ნაცკადრების სამჭედლოსა და დეპოს ხელმძღვანელზე (ილიაუნის რექტორს ვგულისხმობ) მსჯელობისას მის მიერ ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში სამეცნიერო სიმაღლეების დალაშქვრასა და მაღალ აკადემიზმში ეჭვი არ შეაქვს, სხვები კი მათივე კოალიციის მიერ შემუშავებულ კანონპროექტს იმიტომ არ უჭერენ მხარს, რომ „უნივერსიტეტის ავტონომია არ შეიზღუდოს“. ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ წინა ხელისუფლების დროს ზოგიერთი მათგანი ამაყობდა კიდეც, რომ იმ ზნედაცემულ განათლების კანონის მიღებას უჭერდა მხარს და „დემოკრატიის შუქურის“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ მხარდამჭერი გახლდათ. აბა ამ იდეოლოგიური ბაზისის ადამიანებს განა სხვანაირად ძალუძთ? ჩემი აზრით, ამგვარი საქციელი სერიოზულ დაფიქრებას და ანალიზს საჭიროებს. ამიტომაც სრულებით მართებულია **ჩარლზ ბუკოვსკი, რომ „მცოდნე და ინტელიგენტი ადამიანები მუდმივად ეჭვებში არიან, მაშინ როდესაც ყეყეჩები თავდაჯერებულობით ყელყელაობენ“**.

არადა, რომელ „ავტონომიურობის შეზღუდვაზეა“ საუბარი? ან ვინ საუბრობს ამ შეზღუდვაზე? ისინი ხომ არა, რომლებმაც უნივერსიტეტის კედლებში გამომწყვდეულ პროფესორ-მასწავლებლებს წყლის მიწოდებაც კი შეუწყვიტეს და შემდეგ პატრულის მონაწილეობით თავ-პირი დაუსისხლიანეს? ან კიდევ მაშინ არ იზღუდებოდა ავტონომია, როცა პრეზიდენტისა და ძალოვანი მინისტრების მითითებებით ხდებოდა უნივერსიტეტებში რექტორების „არჩევა-დანიშვნა“? არ მახსენდება, რომ ჩვენ დასავლელ მეგობრებს ამ შემთხვევებში არა მარტო რისხვის ზარები შემოეკრათ, არამედ თუნდაც ჩვეულებისამებრ „შეშფოთებულიყვნენ“.

სწორედ წინა ხელისუფლების, ოპოზიციონერობაზე პრეტენზიის მქონე ნარჩენები, რომლებთანაც **„ქორწინებისგარეშე სქესობრივ ურთიერთობაზე“** (ყოველ შემთხვევაში, ასეა განმარტებული **კო(ჰ)აბიტაცია,** თუმცა, მეორე არანაკლებ შთამბეჭდავი (!) განსაზღვრებაცაა: **„სხვადასხვა სახეობის ცხოველთა თანაცხოვრება“)** მუდმივად გვიკიჟინებს დასავლეთი, კვლავაც უტიფრად ავრცელებენ სიცრუესა და დემაგოგიას. ესენი იმ რეჟიმის წარმომადგენლები ბრძანდებიან, რომლის მთელი ფინანსური რესურსი პირადი ძალაუფლების, შიშის, ტერორის განსამტკიცებლად იყო მიმართული. ამ დროს ჩვენ დასავლელ კეთილისმსურველებს უდავოდ ავიწყდებათ **ალბერტ აინშტაინის სიტყვები, რომ „პრობლემების გადაწყვეტა ამავე პრობლემების შემქმნელებს, ანუ იმავე მენტალობის პიროვნებებს, არ ძალუძთ“**. მეტსაც ვიტყვი. ამ ადამიანების ქცევისა და გემოვნების სიმბოლო ორსაჭიანი ველოსიპედია , რომელიც რესპუბლიკის მოედანზე დავით აღმაშენებლის ძეგლის მაგივრად დაიდგა. გაუკუღმართებულ აზროვნებაზე კი ისტორიულ რიყეზე წამოჭიმული კუსკოს გინეკოლოგიური სარკის ფორმის ნაგებობები მეტყველებს. შესაბამისად ასეთ ადამიანებს პროგრესული, ქვეყნის სასიკეთო, ცვლილებების განხორციელება არც კი სწადდათ.

კომუნისტური რეჟიმის ბოლო წლებში პრაქტიკულად მთელი პარტაპარატი გაორებული მორალით ცხოვრობდა: შვილებს ფარულად ნათლავდნენ, სააღდგომოდ კვერცხებს ღებავდნენ, ჩუმჩუმად ეკლესიებშიც დადიოდნენ, ჯიბეში პარტბილეთს, პერანგის ქვეშ კი ჯვარს ატარებდნენ. ერთმა მეგობარმა მიამბო, თუ როგორ ნახა სიონის ტაძარში მორიდებით მდგომი საქართველოს იმდროინდელი უმაღლესი ხელისუფალი ვასილ მჟავანაძე, რომელიც წირვის დასასრულს, პატრიარქ ეფრემის ხელში ჯვარს ემთხვია და პირჯვრის გადასახვის შემდეგ დატოვა ეკლესია. ნაცების პირობებში კი სწორედაც ეკლესიის კარის თვითმცლელით შენგრევამ და სასულიერო პირების წვერებით საკურთხევლიდან გამოთრევამ დაუდო სათავე შემდგომში უკვე მშენებარე ეკლესია-მონასტრების ნგრევას, ამიტომ უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორების დასისხლიანება სრულებითაც არ იყო მათთვის საჩოთირო. პარლამენტის მორჩილ და აგრესიულ ნაცბანდას ტაშის გრიალში ქვეყნის განათლების სისტემის დამანგრეველი კანონები მიაღებინეს და აივსო უნივერსიტეტები უსწავლელი და უვიცი ახალი პროფესურით. კაცმა ვერ გაიგო, რაში დაიხარჯა მსოფლიო ბანკის 60- მილიონიანი კრედიტის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორ და რა ფასად გასხვისდა სასწავლო კორპუსები და ა. შ.

**გიორგი ბოჭორიშვილი,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**(დასასრული იქნება)**

ათასგვარი სიმართლე?!

# ორხელისუფლებიანობა,

## ანუ ყოფა წასულ-არწასული და მოსულ-არმოსული ხელისუფლების პირობებში...

**„თქვენ დიდ პროგრესს აღწევთ. თანმიმდევრულად მიიწევთ წინ და ნამდვილად მიაღწევთ სამიზნეს, დანიშნულების ადგილს, ამ ღია კარში შეხვალთ“ — თავისთავად ცხადია, ნატოს კარებს გულისხმობდა ბატონი ანდერს ფოგ რასმუსენი, როდესაც ის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩვენი სტუდენტების წინაშე სიტყვით წარსდგა. ნატოში შესასვლელ პირობებს ჯერჯერობით რომ ვერ ვაკმაყოფილებთ, ვიცით ეს ქართველმა ხალხმა, მაგრამ „იმედიც კაი საქონელიაო“, იტყვიან ხოლმე და მადლობის მეტი რა გვეთქმის დაიმედებისა და კარგი სიტყვებისთვის .**

თუმცა, რომ არ ვთქვა არ შემიძლია, რა ვართ ეს ქართველები! როგორ ვახერხებთ მტრისა თუ მოყვრისგან, შემთხვევით თუ მიზანდასახულად, ჩვენივე სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯების საწინააღმდეგო ქმედებებს. ბატონ რასმუსენს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სიტყვა დამთავრებული (ასე რომ ვთქვათ!), რომ საფინანსო პოლიცია მოულოდნელად აპატიმრებს საკრებულოს 24 წარმომადგენელს, ოცდაოთხივე ნაციონალური მოძრაობის თუ პარტიის წევრია! ამ ხალხს ხელებზე ბორკილდადებულს მიატარ-მოატარებენ ქალაქის ქუჩებში, მერე ბოდიშს უხდიან და ასევე მოულოდნელად ათავისუფლებენ. საღამოს ისევ აპატიმრებენ რამდენიმე მათგანს, სავარაუდოდ, 50 მილიონი ლარის გაფლანგვის ბრალდებით. ეს უცნაური ეპიზოდი, იმ ავადსახსენებელი სამალავების აღმოჩენისა არ იყოს, შოკში აგდებს საზოგადოებას, ყველას გვიკვირს ნამდვილად, მაგრამ არაფერი შეედრება პრეზიდენტის „გაკვირვებას“ და რისხვას. იგი, გამოდის რა ალიანსელი სტუმრების წინაშე, საუბრობს საკრებულოს წევრების დაკავების შესახებ, აცხადებს, რომ მსგავსი, რასაც ეს მთავრობა სჩადის, არაფერი გამიგონია და არაფერი მინახავსო და ასე შემდეგ...

ერთი სიტყვით პრეზიდენტმა ძალიან მოხერხებულად და კარგად, ნაციონალური პარტიის სასარგებლოდ გამოიყენა აღნიშნული ეპიზოდი და დაუმტკიცა უცხოელებს: აი, თურმე როგორ ეშლება ახალ მთავრობას და როგორ უპასუხისმგებლოდ ეკიდება ნაცმოძრაობის მიერ საქართველოში რუდუნებით აშენებულ დემოკრატიას., ასე ჰაიჰარად აპატიმრებენ ჩვენი პარტიის წევრებს და ახორციელებენ პოლიტიკურ დევნასო. უცხო სტუმარი ხარ, ახალი ჩამოსული და მოდი და ნუ დაიჯერებ!

როგორც ერთი მოქალაქე და ჩემი მსგავსი უთუოდ სხვაც ბევრი, ნამდვილად ვერ დავფარავთ წყენას ახალი მთავრობის მიმართ მისი აჩქარებული ნაბიჯების გამო იქ, სადაც მოზომვა, დაკვირვება და დიდი სიფრთხილეა საჭირო, არც იმის გამო ვართ მადლიერნი, როცა საქმე, პირიქით — დაუსრულებლივ ჭიანურდება. მაგრამ რატომ არის, რომ გამოვედევნებით ერთს, თუნდაც მნიშვნელოვანს და ვივიწყებთ მთავარს— უმნიშვნელოვანესს! მართალია, არ უნდა გამოგვრჩეს ადამიანის ღირსებაზე ზრუნვა, მაგრამ ამავე დროს, უფრო მეტად თუ არა, არა ნაკლებ უნდა ავხმაურდეთ სახელმწიფოს კუთვნილი 50 მილიონი თანხის გაფლანგვაზე. არადა, ჟურნალისტებმა ამ დღეებში ისე წარმოაჩინეს სურათი, რომ მომხდარ ფაქტში თითქოსდა მთავარი საკრებულოს წევრების აყვანა იყო. ორივე მთავარია და ორივე დიდი უბედურებაა ქვეყნისთვის, ერთმა მეორე არ უნდა გადაფაროს. ისე, რომელია უფრო დიდი უბედურება, ამის გარკვევა მკითხველისთვის მიმინდვია.



ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უკვე მესამედ შეიკრიბა საქართველოში. ამ ჯერზე მისი წევრები მეუღლეებითურთ გვესტუმრნენ. ქალბატონები შინაც კი მიიწვიეს ჩვენმა წარჩინებულმა პირველმა თუ მეორე ლედებმა. ჩვენც — ხალხსაც გვეამაყება სტუმრებს რომ ქართული გულუხვობით უმასპინძლეს, ყველაფერი კარგია, მაგრამ ხომ ვიცით, სტუმრები წავლენ-წამოვლენ, ჩვენ კი დავრჩებით ჩვენი უსაშველო პრობლემებით იმ რთულ, ეკლიან გზაზე, რომელზედაც სისხლით და ოფლით, მაგრამ უდიდესი ენთუზიაზმით შევდექით ამ ოცდაორი წლის წინათ...

როგორ გავიარეთ ეს გზა? და საერთოდ გავიარეთ, გადავდგით კი რაიმე ნაბიჯი? საინტერესოა, და არა მარტო საინტერესო, არამედ აუცილებელიც რომ დაიწეროს ნაღდი და რეალური ისტორია ამ ურთულესი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ოცდაორწლიანი ყოფისა თუ ბრძოლისა ისტორიკოსების, პოლიტიკოს-ანალიტიკოსების, ფსიქოლოგებისა და სოციოლოგების რჩეული ჯგუფის მიერ, რათა თითოეულმა ჩვენგანმა ვიცოდეთ, რა იყო ამ წლების მანძილზე, როგორ იყო, სად გვეშლებოდა და სად ვიყავით მართლები ... სად გაგვეფლანგა ეს უზარმაზარი დრო, და არა მარტო დრო, არამედ რატომ დავკარგეთ ინტელექტუალთა დიდი რესურსი, ისინი ხომ ან შიმშილით დაიხოცნენ ან საზღვარგარეთ გაიქცნენ! რატომ ვერ მივაღწიეთ იმას , რაზედაც ვოცნებობდით და რისი შექმნასაც მოკლე დროში ვაპირებდით? უნდა ვიცოდეთ უტყუარი სიმართლე, ფაქტებითა და დამაჯერებლობით აღწერილი მართალი ისტორია. **არ შეიძლება სიმართლე ათასგვარი იყოს, არ შეიძლება თითოეულ ჩვენგანს თავისებურად გვესმოდეს ჩვენს თვალწინ ჩავლილი ისტორიული ფაქტები, არ შეიძლება უნიჭო მმართველი ნიჭიერად მოვნათლოთ, მხდალზე გმირიაო ვთქვათ, დამნაშავეს ანგელოზის და წმინდანის სახელი დავუმკვიდროთ, რეჟიმი დემოკრატიად და დემოკრატია რეჟიმად შევრაცხოთ, საკუთარი ისტორია გავაყალბოთ და მსოფლიოც მოვატყუოთ. და ასე შემდეგ, ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასარჩევ-დასალაგებელი!...**

ოცდაორი წელი გავიდა და ქართველი ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილი კვლავ გაკრეფილია საზღვარგარეთ, კვლავ დაცარიელებულია ქართული სოფლები, კვლავ ტოტალური უმუშევრობა, კვლავ სიღარიბე და შიმშილი...რაც უნდა ატრიალონ სტატისტიკა, რაც უნდა ჩამოგვითვალონ თავიანთი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიღწევები წასულმა თუ ახალმა ხელისუფლებამ, ფაქტი ფაქტად რჩება: უმუშევრობა და სიღარიბე მძვინვარებს საქართველოში! უცხოელების წინაშე თავის მოწონება ნეტა რას გვარგებს, მთავრობამ თავი, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ ხალხს უნდა მოაწონოს. შინ უნდა გაიმაგროს ხერხემალი, შინ უნდა შეძლოს თავმოწონებულად გავლა-გამოვლა, ხალხისათვის ამაყად შეხედვა. საკუთარი ხალხის მოვლა-პატრონობით შექმნილ ავტორიტეტს და სიყვარულს ვერანაირი სხვა , უცხოთა თვალში მოპოვებული ავტორიტეტი ვერ აჯობებს. ამის მაგალითი წინა ხელისუფლებამ კარგად გვანახა.

მოვიდნენ სტუმრები, დაგვხედეს მოგვეფერნენ, მოვეფერეთ და წავიდნენ. განა ამით შეიცვნეს და შეიგნეს მათ ჩვენი ყოფის სინამდვილე? ანდა გაიგეს კი ვინ, რომელი პარტია თუ ხელისუფლება როგორ პოლიტიკას ატარებდა და ახლაც ატარებს? არა, რა თქმა უნდა. ხალხთა ყოფაში და სხვა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაში ჩახედვა ასე მარტივად ერთი ან ორი დახედვით არ ხდება. არც ამა თუ იმ პიროვნების, პოლიტიკოსის დაძმაკაცებ-დამეგობრებით. **მაშ, საინტერესოა, საიდან იცის ასე „ბრწყინვალედ“ ვაშინგტონ პოსტის კორესპონდენტმა რა ხდება საქართველოში. თავგამოდებით რომ გვამუნათებს და თითსაც გვიქნევს, და არა მარტო ის!** თუ დავუკვირდებით, არც ამჟამინდელი სტუმრების ორაზროვანი სიტყვები იყო, ზოგადად, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის სასარგებლო. ცუდია, როცა მოყვარე-სტუმარი ვერ გაარჩევს შენს ავსა და კარგს და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თავისებური სიმართლით ისაუბრებს იმ პოლიტიკურ წრეებში, რომელთა აზრი და შეხედულება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის და იმ პოლიტიკური ძალებისთვის, რომლებიც ახლა ქვეყანას მართავენ.

**ასე, რომ საქართველოში ბევრი რამ ხდება და საუბედუროდ, უცხოელს კი არადა, ბევრ ჩვენგანსაც ვერ გაუგია რა ხდება. ზოგი მართლაც ვერ გებულობს, ზოგს კი არ უნდა გაიგოს, ხელს არ აძლევს, თორემ განა ძნელი მისახვედრია, რომ კარგი არაფერი ხდება ორხელისუფლიანობის პირობებში?**

ძველმა ხელისუფლებამ რაც უნდა ეცადოს და ოპოზიციონერად წარმოგვიდგინოს თავი, თავისი ქმედებით იგი მაინც მტრულად განწყობილი ძალაა და ეს მტრული ძალა ერთი ან ორი ადამიანისაკენ რომ მიიმართებოდეს, ვინ დაეძებს. ქვეყანას ვნებს ეს მტრობა . ყოველივე ეს არა მარტო საღად მოაზროვნე საზოგადოების დიდ აღშფოთებას იწვევს, არამედ ამ მოვლენას სახელმწიფო პოლიტიკა შეჰყავს ჩიხში. აი, სწორედ ეს არის ჩვენი უბედურება, სახელმწიფო რომ არად უღირთ მავანთ და მავანთ. მათი მოქმედებები საღი თვალით ადვილად დასანახია, თუმცა, ისინი მაინც ოინბაზობენ საკუთარი ხალხის წინაშე, რათა თავიანთი თავი წარმოაჩინონ მამა აბრამის ბატკნებად, წარმოაჩინონ არა მარტო ჩვენი ხალხის წინაშე, რომელთაც უტიფრად პირში ეუბნებიან ტყუილს, არამედ ევროპა-ამერიკის წინაშეც და, როდესაც რაიმე უნდათ დაუმტკიცონ ჩვენს ხალხს, მათ მიერვე მოტყუებული უცხოელი პოლიტიკოსების გამონათქვამებს იშველიებენ და იმოწმებენ.

**აი, ასეთია მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში წასულ-არწასული, ანუ ძველი და მოსულ-არმოსული, ანუ ახალი ხელისუფლების მმართველობის პირობებში.**

**გულნარა სტურუა**

„იქ“ და ჩვენთან

# პუტინმა არასრულწლოვნებში გეი-პროპაგანდის აკრძალვის შესახებ კანონს ხელი მოაწერა

**ამის შესახებ რუსული მედია წერს. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, შესაბამისი დოკუმენტი ოფიციალურად გამოქვეყნდა.**

**დოკუმენტის თანახმად, არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების ბავშვებში პროპაგანდისთვის მოქალაქე 4 000-დან 5 000-მდე რუსული რუბლით (დაახლოებით 150 აშშ დოლარი) დაჯარიმდება, ოფიციალური პირი 40 000-დან 50 000-მდე რუბლით, იურიდიული პირებისთვის კი ეს თანხა 800 000-დან 1 მილიონ რუბლამდე მერყეობს. ასევე, კანონი იურიდიული პირებისთვის საქმიანობის 90 დღის განმავლობაში შეჩერებასაც ითვალისწინებს.**

უფრო მკაცრია სასჯელი ამ დანაშაულში ინტერნეტის ან მედიის გამოყენებისთვის. ამ შემთხვევაში ფიზიკური პირი 50 ათასიდან 100 ათას რუბლამდე დაჯარიმდება, ოფიციალური პირი 100 ათასიდან 200 ათას რუბლამდე, ხოლო იურიდიული პირი 1 მილიონი რუბლით.

ფედერალური კანონი მსგავსია კანონების, რომლებიც უკვე მოქმედებს რუსეთის ცხრა რეგიონში. ამ კანონით აიკრძალება სექსუალურ უმცირესობათა მხარდასაჭერი ღია აქციების მოწყობა.

„ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ლევან ვეფხვაძემ „ნეტგაზეთთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ჰომოსექსუალობის პროპაგანდაც არ უნდა ჩაითვალოს ნორმალურად და არც ამის ტირაჟირება უნდა ხდებოდეს: **„მე ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, რომელიც ამბობს, რომ ნარკომანია ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ თქვენ სადმე გინახავთ ადამიანი, რომელიც გამოვა ტელევიზიით და იტყვის, რომ ვიკეთებ და ეს არის ჩვეულებრივი? ეს სრულიად ერთი და იგივე შემთხვევაა“...**



ჰომოსექსუალობას გარყვნილებას უწოდებს ამავე მოძრაობის წევრი გიორგი ახვლედიანი: **„სოდომის ცოდვის პოპულარიზებას ტელევიზიები 24 საათის განმავლობაში ახდენენ. ყველა გადაცემაში პოპულარიზებაა ამ ცხოვრების წესის, რაც, ჩვენი აზრით, ქართველი ერისთვის ერთმნიშვნელოვნად მიუღებელია“...**

მისივე განმარტებით, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებსაც მოიცავს, ძირითადად, საუბარი იქნება კონკრეტული ზნეობრივი ქმედებების დაკანონებაზე.

**„მაგალითად, ასევე უნდა განისაზღვროს, რას ნიშნავს სახელმწიფოსთვის ოჯახის ღირებულება. ვფიქრობ, სახელმწიფო უნდა იცავდეს მხოლოდ იმ ოჯახის ინტერესს, რომელიც არის მხოლოდ ქალის და მამაკაცისგან შემდგარი. სხვა მიმართულება საქართველოში არ უნდა არსებობდეს“,** — განაცხადა ახვლედიანმა.

ლგბტ ადამიანების მიმართ კანონის ლიბერალიზაცია საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრების შემდეგ დაიწყო. 2000 წლის 1 ივნისს საქართველოში ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ამოქმედდა, რომელშიც „მამათმავლობას“ კანონდარღვევათა შორის ცალკე მუხლი აღარ დაეთმო.

**ნატა ნიბლაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვანო მერაბიშვილი ნელსონ მანდელა ვერ გახდება

## ციხეში მყოფი შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვერ იბრძოლებს პრეზიდენტის პოსტისთვის

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაასახელა შინაპარტიული კენჭისყრის ოთხი მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატის გამოსავლინებლად ოქტომბრისთვის გათვალისწინებულ არჩევნებში. პრაიმერიზის მონაწილეთა შორის ვერ აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი, შინაგან საქმეთა ექს-მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც დაპატიმრებულია კორუფციასა და სამსახურეობრივი უფლებამოსილებათა გადაჭარბების ბრალდებით. ექსპერტების აზრით, პრეზიდენტმა და მისმა პარტიამ საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი წარსულში თავისი გუნდის ყველაზე გავლენიან წევრთან.**

ყოფილი მმართველი პარტიის პრაიმერიზში მონაწილეობას მიიღებს ოთხი კანდიდატი: პარლამენტის ექსსპიკერი დავით ბაქრაძე, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ყოფილი სახელმწფიო მინისტრი გიორგი ბარამიძე, პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ პოლიტოლოგი ზურაბ ჯაფარიძე და დეპუტატი შოთა მალაშხია, რომელიც შარშანდელ პარლამენტს არჩევნებამდე სათავეში ედგა „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ კომისიას.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დეპუტატმა ხათუნა გოგორიშვილმა ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს განსაზღვრავენ როგორც პარტიის წევრები ისე ყველა მსურველი. **„პირველები კენჭს უყრიან რეგიონალურ კრებებზე, მეორენი — სპეციალურ ინტერნეტ გვერდებზე“,** — განმარტა ქალბატონმა გოგორიშვილმა. მან გვაცნობა, რომ პრაიმერიზი გაგრძელდება ივლისის ბოლომდე. მაშინ დასახელდება პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილის პარტიიდან.

პრაიმერიზის ერთ-ერთ შესაძლო მონაწილედ უკანასკნელ დრომდე ითვლებოდა შინაგან საქმეთა ექსმინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც დაპატიმრებულია მძიმე დანაშაულის ბრალდებით, მაგრამ ეჭვმიტანილთა წამების ვიდეოს აღმოჩენის შემდეგ იმ პერიოდში როდესაც ვანო მერაბიშვილს ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ ამ იდეაზე. თბილისში დარწმუნებული არიან, რომ ამით „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი „ექსმინისტრთან“, რომელსაც ადრე სახელმწიფოს ხერხემალს უწოდებდნენ.

**„მათ რომ ძველებურად მიაჩნდეთ მერაბიშვილი თავისი გუნდის წევრად, მას ქართველ ნელსონ მანდელად გადააქცევდნენ, გამოაცხადებდნენ პრეზიდენტობის კანდიდატად, მიუხედავად მისი დაპატიმრებისა“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში სოციოლოგიური სამსახურის „გორბის“ ხელმძღვანელმა მერაბ ფაჩულიამ. მისი აზრით, შინაპარტიული კენჭისყრის დასახელებულ მონაწილეთაგან „დავით ბაქრაძე უტყუარი ლიდერია“ და სწორედ იგი გაუწევს მეტოქეობას ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებში ხელისუფლების პარტიის კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს, პარლამენტს ექსსპიკერს ნინო ბურჯანაძეს. სხვათა შორის, თავად არჩევნებში მერაბ ფაჩულიას სიტყვებით „არც ერთ კანდიდატს არა აქვს შანსი, დაამარცხოს მარგველაშვილი“.

**მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერები ასევე დარწმუნებული არიან თავისი კანდიდატის გამარჯვებაში. „მათ ვინც უნდა დაასახელონ, არ გააჩნიათ არანაირი შანსი მოიგონ პრეზიდენტის არჩევნები, ვინაიდან ამ პარტიისადმი ნდობა მოსახლეობის მხრიდან პრაქტიკულად ამოწურულია“,** — განაცხადა ვიცე-პრემიერმა წარსულში „მილანის“ მოთამაშემ კახი კალაძემ. მან განმარტა, რომ ხალხს კარგად ახსოვს სააკაშვილის პარტიის მმართვის ცხრაწლიანი პერიოდი და „ზიზღი ამ ადამიანების მიმართ ძალიან დიდია“.



AFP

Коммерсантъ

# სააკაშვილის პარტიამ დაიწყო ოპერაცია „მემკვიდრე“

**პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 30 ივნისს ქუთაისში გამართა კონფერენცია, სადაც სტარტი მიეცა პრაიმერიზს პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატის განსაზღვრისთვის. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის არჩევნები ოქტომბერში გაიმართება. მასში მონაწილეობას ღებულობს ოთხი დეპუტატი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ექსსახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, აგრეთვე ზურაბ ჯაფარიძე და შოთა მალაშხია.**

შინაპარტიული შეჯიბრების გამარჯვებული დასახელდება ერთი თვის შემდეგ. მანამდე ყველა პრეტენდენტი შეხვდება თავის თანამებრძოლებს რეგიონებში, რომლის დროსაც წარადგენენ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თავიანთ პროგრამებს.

როგორც შოთა მალაშხიამ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, ის აქცენტს ატირუსულ რიტორიკაზე გააკეთებს.

**— მე აქცენტს გავაკეთებ დამღუპველ პრორუსულ პოლიტიკაზე, „ქართული ოცნებისა“, რომელმაც თითქოს დაივიწყა, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ,** — განაცხადა მან.

მანამდე, სანამ 21 მაისს მძიმე ბრალდებით, რითაც მას 17 წლის პატიმრობა ემუქრება, დააპატიმრებნენ ყოფილ პრემიერმინისტრ ივანე მერაბიშვილს, სწორედ მას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურ მდივანს, მიიჩნევდნენ პრეტენდენტად პარტიისგან პრეზიდენტის პოსტზე. ჩვენი გაზეთის წყაროები „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ მერაბიშვილის კანდიდატად დასახელების შესაძლებლობა განიხილებოდა 24 ივნისამდე, როდესაც მას წაუყენეს ახალი ბრალდებები უკანასკნელი წლების ყველაზე რეზონანსულ საქმესთან დაკავშირებით. საქმე შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობის მიერ გაერთიანებული ქართული ბანკის წარმომადგენლის ალექსანდრე გირგვლიანის მკვლელობას მისი დავის შემდეგ პრესტიჟულ თბილისურ ბარში კომპანიასთან, რომელშიც იყვნენ მერაბიშვილის მეუღლე და რამდენიმე მაღალი რანგის პოლიციელი ამის შემდეგ იმის შესახებ, რომ ექსპრემიერს შეუძლია



კენჭი იყაროს, შეგვახსენებს მხოლოდ მისი კოლოსალური პორტრეტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური ოფისის შენობაზე წარწერით „თავისუფლება მერაბიშვილს“ ინგლისურ და ქართულ ენებზე. „ნაცონალები“ საერთოდ აპირებდნენ, გამოეცხადებინათ ბოიკოტი არჩევნებისთვის „პოლიტიკური დევნის გამო, მაგრამ შემდეგ მაინც გადაწყვიტეს, მიეღოთ მონაწილეობა მასში.

პრაიმერიზში ყველაზე რეალურ პრეტენდენტად მიაჩნიათ დავით ბაქრაძე. ეს ჩვენს გაზეთთან საუბარში დაადასტურა დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტმა სოსო ცისკარიშვილმა.

**— დარწმუნებული ვარ, რომ დასახელებული ოთხეულიდან მხოლოდ ყოფილი სპიკერი შეძლებს მიიღოს ელექტორატის გარკვეული მხარდაჭერა,** — თქვა მან.

40 წლის ბაქრაძე, რომელსაც ადრე ეკავა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და კონფლიქტების მოწესრიგების სამინისტროს ხელმძღვანელის პოსტები, ქართული საზოგადოებრიობის მიერ აღიქმება, როგორც ყველაზე გაწონასწორებული და ადეკვატური წარმომადგენელი სააკაშვილის გუნდისა.

**„ქართულ ოცნებაში“ დარწმუნებული არიან, რომ პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვებას მოიპოვებს მისი წარმომადგენელი — 43 წლის ვიცე-პრემიერი გიორგი მარგველაშვილი.**

**მარგველაშვილის გამარჯება იქნება დამაჯერებელი და უტყუარი, ვინც კი უნდა დაასახელოს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“,** — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ აბაშიძემ. ვიცე-პრემიერის კახი კალაძის აზრით, „ნაციონალებს“ არანაირი შანსი არ გააჩნიათ.

ჩვენ ვიცით ელექტორატის განწყობილება. ყველას კარგად ახსოვს, რა საძაგლობას სჩადიოდა სააკაშვილის პარტია ხელისუფლებაში ყოფნის მთელი 9 წლის განმავლობაში.

რომ გაიმარჯვო პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში, საჭიროა მოაგროვო ხმების 50 პროცენტზე მეტი. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვა ადასტურებს „ქართული ოცნებიდან“ კანდიდატის უპირატესობას პრეტენდენტზე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“: 41 პროცენტი 11 პროცენტის წინააღმდეგ. ასეთი განაწილების დროს შესაძლებელია მეორე ტურიც.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**სმარტფონებმა გასცეს ბედნიერების რეცეპტი: მეტი სექსი და მუზეუმი, ნაკლები მოგზაურობანი და რიგები**

**3 წლის განმავლობაში ბრიტანელები ნებაყოფლობით უპასუხებდნენ მობილური დანართების შეკითხვებს თავიანთი დროსტარებისა და განწყობილებათა შესახებ. შედეგებმა ექსპერიმენტის მონაწილეებს თვალები აუხილეს: სტრესისა და უბედურებისაგან გადაგვარჩენს ხმაურიანი საღამოები და არა ოჯახური დღესასწაულები. სამუშაოზე უარესი ადამიანური ბედნიერებისათვის შეიძლება იყოს მხოლოდ ავადმყოფობა.**

* * *

**მეამბოხე ეგვიპტელები არბევენ „მუსლიმანი ძმების“ შტაბ-ბინებს**



**ორშაბათს ეგვიპტელები, რომლებიც მოითხოვენ პრეზიდენტ მუჰამედ მურსის გადადგომას, შეიჭრნენ მისი მხარდამჭერი ისლამური მოძრაობის შტაბ-ბინაში. ალექსანდრიაში ანალოგიური ინციდენტის დროს მოკლეს ახალგაზრდა ამერიკელი. რუსი ტურისტები მომხდარის შესახებ გებულობენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან და ნათესავებისგან რუსეთიდან.**

* * *

**მინიატიურული „სასწაული გუძონზე“ — პილოტმა გადაარჩინა ოჯახი ნიუ-იორკის ცენტრში შვეულმფრენის ავარიული დაჯდომით.**



**პოლიციის მონაცემებით, მსუბუქი მრავალდანიშნულებიანი შვეულმფრენი ვერტიკალურად დაეშვა წყალზე მანჰეტენში 79-ე ქუჩის მახლობლად. შვეულმფრენში 5 კაცი იყო: პილოტი და ტურისტების ოჯახი შვედეთიდან. 2 მოზრდილი და 2 ბავშვი. ინციდენტის შედეგად არავინ დაზარალებულა.**

* * *

**არიზონაში ტყის ხანძრის ჩაქრობის დროს 19 მეხანძრე დაიღუპა**

**ხანძარი გასულ პარასკევს ქალაქ იარნელში მოხდა. მისი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა. საგანგებო შემთხვევის შედეგად მოახდინეს 50 სახლის მცხოვრებთა ევაკუაცია. 600 კაცი დროებით თავშესაფარში მოათავსეს. კვირას ხანძარმა კატასტროფული მასშტაბები შეიძინა.**



## ◉ გარექართველთა ტკივილიანი ხედვა

ვალალ-ბედკრულო საქართველო, უხსოვარი დროიდან დღემდე გჯიჯგნიან გარეული და შინაური მტრები, განსაკუთრებით შენს წიაღში ვაიშობილები და უიშობილები გაყენებდნენ და დღესაც გაყენებენ ძნელად მოსაშუშებელ იარებს. მიკვირს, რამ გადაგარჩინა დღემდე და დღეს?, ალბათ ღვთისმშობლის წილხვედრობამ, სხვა ძალა დედამიწის ზურგზე არ მეგულება. გენეტიკურად ქართველნო და საქართველოში მცხოვრებნო (ორთოდოქსი „ნაცმოძების" გამოკლებით), მჯერა და თქვენც მინდა, დაიჯეროთ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს ღვთის ნება იყო 9-წლიანი დიქტატურის დამარცხება, ღმერთი გაუწყრა მათ. სწორედ განგებამ მოუვლინა საქართველოს გადასარჩენად ბიძინა ივანიშვილი. არ იფიქროთ, სხვა სამყაროდან გელაპარაკებოდეთ. არჩევნების დროს თბილისში გახლდით და ყველა პროცესის მხილველი ვარ. აშკარად, ურცხვად აქტიურობდნენ უბადრუკი „ნაცმოძების" აქტივისტები, მაგრამ მეტი ვერ შეძლეს. შემდგომ პერიოდში, დღესაც აშშ-დან სისტემატურად ვაკვირდები საქართველოში მიმდინარე პროცესებს, აქედან ყველაფერი მკაფიოდ ჩანს. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ცალი თვალით ხის კენწეროდან თვალთახედვის არე უფრო დიდია, ვინემ ორი თვალით — ხის ძირიდან. ხე ვახსენე და სულ ეს ხისთავები მიდგანან თვალწინ, საქართველოს პარლამენტში რომ მოკალათებულან და წინიდან და უკნიდან სიმყრალეს ანთხევენ. 9 წელი იბოგინეს, ყველაფრის დეგრადირება მოასწრეს, ფესვები ღრმად გაიდგეს წინამორბედისაგან „გაპოხიერებულ ქართულ მიწაში". შექმნეს ფასადური ქვეყანა, რომელიც მხოლოდ სურათის გადასაღებად თუ გამოდგება და მხოლოდ მოჩვენებითი კეთილდღეობის ამსახველია.

9 წელი ითარეშეს „ნაცმოძებმა". ეს ძალიან დიდი დროის პერიოდია საქართველოს ნგრევისათვის, მაგრამ პატარაა შენებისათვის. ისევ ხეს დავუბრუნდეთ. ეს 9 წლის პანტა ისე მიმოიფანტა საქართველოში, რომ მათი მოხვეტა არცთუ ისე ადვილი გამოდგა, ჩვენ რომ გვეგონა. ეს საქმე, „ნაცმოძების" ამოძირკვა, ალაალაობა ხომ არ გგონიათ? ამას დაუმატეთ „ნაცმოძების" ურცხვობა, ახვრობა, უზნეობა, ულმერთობა და ყველაფერი საზიზღრობა, რისი წარმოდგენაც ნორმალურ ადამიანს არც კი შეუძლია.




# ფიქრი ატლანტიკის ოკეანის პირას

ყოველივე ამ არაადამიანური მახასიათებლებით მოახდინეს ახალგაზრდობის ფსიქიკის დეფორმაცია, რაც ყველაზე დიდი უბედურებაა და მის გამოსწორებას ხანგრძლივი დრო ესაჭიროება. ადამიანებმა რომ იარსებონ, მათ საარსებო საშუალებები უნდათ: საჭმელი, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ბინა და სხვა ბევრი რამ. ეს რომ ჯერჯერობით ვერ მოწესრიგდა, მოსახლეობაში იმედგაცრუების სიმპტომიც შეინიშნება, ზოგიერთი ამას აშკარად გამოხატავს კიდეც. რბილი კრიტიკა მეც კი წამომცდა, მაგრამ კიდევ მოვითმინოთ, მოთმინების ფიალაავსებულო საქართველოს მოსახლეობავ, მომდევნო არჩევნებამდე. დავფიქრდეთ.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ბიძინა ივანიშვილს საქართველოს გადასარჩენად სხვა ქვეყნებიდან ან სხვა პლანეტიდან არ მოუყვანია და ვერც მოიყვანდა არსებებს. ასეთები მან საქართველოს მოსახლეობაში მოძებნა, რისთვისაც საკმაოდ მოკლე დრო ჰქონდა და მათში, როგორც მოსალოდნელი იყო, იანუსებიც ბლომად აღმოჩნდნენ, მედროვეებიც და საეჭვო წარსულის მქონენიც. ძველ სარეველებს ახალიც დაემატა, რომელთა მოცელვაც მიმდინარეობს, ნელა, მაგრამ პოზიციურად.

ყველა ხელისუფალს, მათ შორის ბიძინა ივანიშვილსაც, შრომისა და ბრძოლის თავისი სტრატეგია და ტაქტიკა აქვს. განსაკუთრებით რთულ და გაუგებარ სიტუაციაში უწევს მოღვაწეობა დღევანდელ რეალურ ხელისუფალს. საქართველოს ისტორიას მსგავსი პერიოდი თავისი არსებობის მანძილზე არც ჰქონია და ამდენად, წარსულის გამოცდილების გამოყენება შეუძლებელია. ჩვენ შემთხვევაში სარეველებს მოცელვა უნდა, თორემ დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ. აქ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ და უნდა შეასრულონ სასულიერო პირებმა, რომელთა შორისაც მოასწრეს „ნაცმოძებმა" თავიანთი სატანების ჩათესვა.

ეკლესია უფრო აქტიურად და გაბედულად უნდა ჩაებას საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგანაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ეკლესია ღვთაებრივი მადლის საუნჯეა და უნდა ლოცავდეს საჯაროდ ბიძინა ივანიშვილს, რითაც მოხდება სინერგია, — ღვთიური და ადამიანური ნების შერწყმა. ამასთან სიტყვებით გადმოცემული ლოცვები არის დიდი ღვთიური იარაღი და ენერგეტიკის მატარებელი. ასევე ეკლესიამ უნდა შეაჩვენოს, დაწყევლოს „ნაცმოძების" აქტივისტები, პარლამენტში რომ ამაზრზენად ყელყელაობენ და შხამს ანთხევენ. ეს საჭიროა. რა კარგი იქნებოდა, ბიძინა ივანიშვილს რომ შეეძლოს „ნაცმოძების" ხროვა ჩაესხა ერთ დიდ ხომალდში და გადაესხა დაუსახლებელ, უკაცრიელ კუნძულზე. ეჰ! რა შვებით ამოისუნთქავდა საქართველო. ეს, რადგან უტოპიაა, დაველოდოთ დროს. დრო ყველაფრის მომვლელია...

**დავით კურტანიძე,**
**ნიუ იორკი,**
**18. 06. 2013 წ.**

**მეგობარს**

**ციხის კედლებს მიეჩვევა,**
**როზგიც არ აწყენდა ვანოს.**
**სამშობლო გაგიპარტახა,**
**მეტი რაღა უნდა გ ა ვ ნ ო ს?.**

**დავით ოქონელი,**
**ქ. ნიუ იორკი. 19. 06. 2013 წ.**

## ◉ შაბათ-კვირის ჩანაწერები

# „დაჩაგრული" ელისო

**მიუმწყვდევიათ კუთხეში ჩვენი კოლეგა, შესანიშნავი ჟურნალისტი, ამწუთას კი ტყიბულელთა რჩეული საქართველოს პარლამენტში ელისო ჩაფიძე, იქიდან დავით საყვარელიძეს, აქედან ეკა კვესიტაძეს და, კამათს ვინ ჩივის, თითქმის არ ალაპარაკებენ.** ეკა კვესიტაძეს, ბატონო, თავის საავტორო გადაცემაში დინჯ და სათნო ელისო ჩაფიძისთვის", ერთ დროს პროკურორი, ამჯერად კი უმცირესობის და, საერთოდ, ნაციონალების „ადვოკატი", ენაგატლეკილი დავით საყვარელიძე დაუპირისპირებია და, იცოცხლეთ, იქ ამბავი ტრიალებს (ბევრი ნახავდით), დავით საყვარელიძე „ტყავს აძრობს" ახალ ხელისუფლებას და, ელისო ჩაფიძე ვის დაკარგვია, არც ახსოვთ მისი არსებობა ეკრანზე. არადა, ისეთ „პროფესიონალს", როგორადაც ეკა კვესიტაძე მიაჩნიათ „ნაციონალებს", კი უნდა ესმოდეს, რომ მის გადაცემაში, სურს თუ არა, „სხვაგვარად მოაზროვნეებსაც" აძლევდეს სიტყვას, არ ერეოდეს კამათში, აწესრიგებდეს სიტუაციას, ანუ არბიტრივით იყოს და არა ისე, როგორც ქალბატონ ეკასგან მიეჩვია უკვე მაყურებელი და მსმენელი. ეს ქალბატონი რაკილა დაიგულებს ახალი ხელისუფლების მაგინებლებს, უმალ ცეცხლზე ნავთს ასხამს და არის სტუდიაში ერთი გაწამაწია. შე კაი ქალო, დავით საყვარელიძეს რაში სჭირდებოდა შენი „წახმარება"?! ეგ, რა შენი საქმე იყო?! მაგრამ ივანიშვილისა და „ივანიშვილების" სიძულვილი, თურმე, მოვალეობასაც გავიწყებს. იცავდა თავს ელისო, იცავდა ახალი ხელისუფლების საქმიანობას, მაგრამ ამ ორ ენაგაკრეფილს ვინ მოერეოდა! კვესიტაძის თვალების კვესებას ვინ გაუძლებდა?! ყველამ ყველაფერი კარგად ნახა, ჩვენო ელისო, ღმერთმა სულ ასე „დამარცხებული" გატაროს!

# შენიშვნა „კომედი-არხის" შემქმნელებს

**„საქართველოს რესპუბლიკა", გასული წელს (11 დეკემბრის ნომერში), გულთბილად მიესალმა „კომედი-არხის" დაარსებას და ამ არხზე კომედიური ნიჭით დაჯილდოებული მსახიობების გამოჩენას. აბა, მიშა ანდღულაძეო, აბა, ვასო ფხაკაძეო, აბა, ნიკა გრიგოლიაო, აბა, ნიკა არაბიძეო...** კარგია, შესანიშნავია, თითქოს ახლებური იუმორია ეს ყოველივე, მაგრამ, ხანდახან, წინაპრებს გადასწვდებით, ხან ომგამოვლილ, ჩინ-მედლებით მკერდგავსებულ ბაბუებს, აშაყირებთ (თქვენი ჭკუით), ჩვენს მეფეებსა და ნაზირ-ვეზირებს აღადავებთ, ეს კი არ გეკადრებათ, ბიძიებო! ჩვენს გვერდით იმდენი საგულისყურო და სასაცილო (სატირალი რომ არ იყოს) ამბები ხდება, რა საჭიროა წარსულში თემებისა და სიუჟეტების ძებნა?! ვისაც რა შეეძლო, ის გააკეთა, ძმებო, ზოგმა ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოლა და ზოგმა სპარსელების... დღევანდელობას მივხედოთ, დღევანდელობას!

# და რაც დაგვრჩი, დაგვრჩი მარად!

**კარგა ხანი ელოდა პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას ჩვენი მოსახლეობა, მეტადრე სოფელ-ადგილებში ელოდნენ, სადაც უკვე გვარიანად გასხვისდა და გაიყიდა ჩვენი, ისედაც მცირე მიწა-წყალი. საქართველოში მიწის ყიდვა შეიძლებაო?! წამოვიდა და წამოვიდა ჩინელი და ინდოელი, თურქი და ირანელი! სად გვქონდა, ან სად გვაქვს გასაყიდი მიწა?! მაგრამ გაყიდვა შეიძლებაო?! ჰოდა, რამდენი სულსწრაფი თანამემამულეა, რამდენი ულუკმაპურო გლეხკაცია, რომელიც თავის საკუთარ მიწას ვერ ამუშავებდა, ჰოდა, ერთი მაგისი!.. ორ გროშს მაინც ავიღებო!..** აქეთ, ბევრ შემთხვევაში სულაც რომ არ იცოდა პატრონმა, ისე გაყიდა რაიონისა თუ სოფლის გამგებელმა მისი საკუთრება და აღარც სანახავ-სათესი და აღარც საძოვარი დაუტოვა თანასოფლელებს. მაგრამ სადამდე შეიძლებოდა ასე გაგრძელება?! გაიყიდა, გაიყიდა, ყველაფერი გაიყიდა! სინდისი, უპირველესად! ჰოდა, ბიძინა ივანიშვილის თავკაცობით ახალმა ხელისუფლებამ რაღაი ჩვენს მარჩენალ სოფელს მიხედა, გლეხსა თუ ფერმერს იმედი გაუჩნდა და ნებით თუ ძალით გასხვისებული საკუთარი მიწის უკან დაბრუნება მოითხოვა, რაც, ზოგ შემთხვევაში, უკვე უხერხულ სიტუაციებსაც კი ქმნის. მაგალითად, რა დააშავა იმ ჩინელმა, შენ რომ შენი სულმოკლეობით მიწა მიჰყიდე, ძმობილო?! ანდა, ხალხზე მზრუნველმა გამგებელმა, სრული წესისა და კანონის დაცვით, ოღონდ მალულად, რომ გაასხვისა მიწა ინდოელზე?!

**მოკლედ, ასეა თუ ისე, უმრავლეს შემთხვევაში, უცხოელებზე გაყიდული მიწები უნდა დავიბრუნოთ, ხოლო გაყიდვა შევაჩეროთ 2014 წლის დეკემბრამდე!** ასეთია საქართველოს პარლამენტის ნება, რასაც მთელი ქვეყანა იწონებს, პარლამენტის უმცირესობა კი, რა გასაკვირია, ცხვირს იბზუებს. — ინვესტიციები ისედაც არ შემოდის და ეს ფაქტი ძალიან იმოქმედებსო! იმოქმედოს ბატონებო, იმოქმედოს! საკითხი ეხება ერთ მტკაველა მშობელ მიწას, რომლის დიდი ნაწილი, ისედაც გასხვისებულია, სამარადჟამოდ!

**„და რაც დაგვრჩი, დაგვრჩი, მარად,**
**დაგვრჩი ხორცად, დაგვრჩი ძვლებად,**
**დაღუპვისგან დაგვიფარავს,**
**მარტო შენი დასიზმრებაც".**

— ამბობს პოეტი.

ჭეშმარიტად! ჰოდა, გავუფრთხილდეთ ჩვენს სალოცავს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ◉ ალიან-ჩალიანი

### სასკოლო სახელმძღვანელოები უნდა განახლდეს




**განათლების** სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოების განახლებას გეგმავს, — ამის შესახებ მასწავლებელთა სახლში, საჯარო სკოლების დირექტორებთან შეხვედრაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა.

მისი განმარტებით, სახელმძღვანელოების განახლება სამი წლის განმავლობაში მოხდება.

— წელს განახლდება სახელმძღვანელოების პირველი მესამედი, მომავალ წელს, მეორე მესამედი და მესამე წელს ეს პროცესი საბოლოოდ დასრულდება. სამ წელიწადში სახელმძღვანელობის მთელი კორპუსი იქნება განახლებული, შესაძლოა არა იდეალური, მაგრამ თვისობრივად უკეთესი, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე განმარტებით, განათლების სამინისტროს ცალკეული სკოლების პედაგოგებთან მუშაობა და კონსულტაციები დაჭირდება აღნიშნულთან დაკავშირებით, რათა სწორედ მათგან მიიღონ რჩევა, თუ რომელი სახელმძღვანელოებია პირველ რიგში შესაცვლელი.

### საჯარო სკოლებში ხელფასი გაიზრდება

**2013 წლის** სექტემბრიდან, ეტაპობრივად ყველა საჯარო სკოლის დირექციას, ადმინისტრაციულ ტექნიკურ პერსონალს ხელფასი გაეზრდება, — შესაბამისი პროექტის პრეზენტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ სანიკიძემ გუშინ მასწავლებლის სახლში შეკრებილ თბილისის საჯარო სკოლების დირექტორებს წარუდგინეს.

სკოლის დირექციის, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასები საშუალოდ 40-45%-ით გაიზრდება. უფრო კონკრეტულად: საჯარო სკოლის დირექტორის საშუალო ხელფასი, რომელიც 460 ლარს შეადგენს, სექტემბრიდან 600 ლარს მიაღწევს, საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის საშუალო ხელფასი რომელიც ახლა 335 ლარია, სექტემრბიდან 400 ლარი გახდება, საჯარო სკოლის ბუღალტრის საშუალო ხელფასი 235 ლარიდან 320 ლარამდე გაიზრდება, საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის საშუალო ხელფასი 230-დან 300 ლარამდე, საჯარო სკოლის დამლაგებლის საშუალო ხელფასი 115 ლარიდან 210 ლარამდე გაიზრდება. სკოლებში გაიზრდება ასევე მინიმალური თანამდებობრივი სარგო, რომელიც არ იქნება საარსებო მინიმუმზე ნაკლები და ამ ეტაპზე 150 ლარს მიაღწევს.

**ინტერპრესი**

◎ წყალბურთი

# თბილისის თასი საქართველოში დარჩა

**„ოლიმპიკის" აუზმა მეოთხედ უმასპინძლა წყალბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს თბილისის თასზე. ამჯერად საასპარეზოდ ბელარუსები და უკრაინელები გვეწვივნენ. თურქებმა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ჩემპიონატის გვიან დამთავრების გამო თბილისში ჩამოსვლა ვერ შეძლეს. მათ ნაცვლად შეჯიბრებაზე დაუშვეს საქართველოს სტუდენტ წყალბურთელთა ნაკრები, რომელიც 5 ივლისიდან ყაზანში მსოფლიო უნივერსიადაზე მოსინჯავს ძალებს.**



თბილისის თასის გათამაშების სტარტზე საქართველოს პირველმა ნაკრებმა (ჭუმბურიძე, ჯახაია, ჩიკვაიძე, იმნაიშვილი, ლაითაძე, ბითაძე, ხვედელიანი, ბალათურია, რურუა, გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი, ქავთარაძე, რუსიშვილი, მწვრთნელები – ისელიძე, პოპოვიჩი) ბელარუსებს სძლია – 18:5 (7:1, 3:2, 5:2, 3:0), უკრაინამ სტუდენტთა გუნდს (ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე, ქარჩილაძე, ტუკვაძე, ბაქრაძე, ყავლაშვილი, ქართველიშვილი, გელაშვილი, ურუშაძე, სულაძე, გიორგაძე, კაკულია, შუბლაძე, მწვრთნელები – გიორგაძე, კალანდაძე) მოუგო – 16:7 (5:3, 2:2, 5:1, 4:1).

ასპარეზობის მე-2 დღეს საქართველოს პირველი ნაკრებისა და უკრაინის გუნდების შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ანგარიში მხოლოდ მესამე წუთზე გაიხსნა – ბურთი ხვედელიანმა გაიტანა. ოციოდე წამში სიტნიკმა წონასწორობა აღადგინა. პირველი პერიოდის დამთავრებამდე ბალათურიამ თავისი გუნდი დააწინაურა. მეორე რვაწუთიანი მონაკვეთი სტუმრებმა მოიგეს – 1:0. შესვენების შემდეგ ისელიძე-პოპოვიჩის შეგირდებმა მატჩის მსვლელობაში გარდატეხის შეტანა შეძლეს და შეხვედრა ორი ბურთის სხვაობით მოიგეს – 11:9 (2:1, 0:1, 5:4, 4:3). ასევე უშელავათო გამოდგა საქართველოს მეორე ნაკრებისა და ბელარუსების პაექრობა. მძიმე ბრძოლაში სლავებმა ერთი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს – 9:8 (2:2, 3:2, 1:1, 3:3).

საერთაშორისო ტურნირის დასკვნით დღეს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ოთხმა ახალგაზრდა წყალბურთელმაც (ბითაძე, ჯახაია, იმნაიშვილი, ჩიკვაიძე) იასპარეზა, 15:11 (2:2, 6:2, 3:3, 4:4) მოუგო სტუდენტებს და თბილისის თასი მეოთხედ მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა უკრაინის ნაკრები, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ბელარუსებს აჯობა – 14:10 (2:1, 2:2, 6:4, 4:3). სტუდენტებს მე-4 ადგილი ერგოთ.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ვლადიმერ ისელიძისა და სერბი სპეციალისტის – იოვან პოპოვიჩის ხელმძღვანელობით დღეს ჩერნოგორიაში გაემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე. ბუდვაში ჩვენები ვარჯიშების პარალელურად ტესტმატჩებსაც გამართავენ, 10 ივლისს კი მალტას მიაშურებენ, სადაც 11 ივლისიდან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მე-2 რაუნდში ჩაებმებიან – მასპინძლებს, ისრაელს, უკრაინას და ბელარუსს გაუწევენ მეტოქეობას. ნაკრებს ბუდვაში დახვდებიან ნატურალიზებული წყალბურთელები – მარკო ელაჩა, მარკო ელეზი, დამირ ცრეპულია და მარინო ფრანიჩევიჩი.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც სექტემბერში ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გამოვა, ხუთი ივლისიდან იტალიაში ხმელთაშუა ზღვის თასზე მასპინძლებს, ფრანგებს, ჩერნოგორიელებსა და სერბებს დაუპირისპირდება. სტუდენტური ნაკრები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყაზანში მსოფლიო უნივერსიადაზე ითამაშებს.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: საქართველოს ნაკრები.**

◎ ჭიდაობა

# მოჩხუბარი „კლასიკოსები" და ფოტორეპორტიორზე მოიერიშე დამცველები

**დიღმის ძიუდოს აკადემიის დარბაზმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს თასის გათამაშებას უმასპინძლა. ეს შეჯიბრება მრავალმხრივ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. უპირველესად, ცხადია, წონების ლიდერთა სუსტი გამოსვლა იყო თვალში საცემი. არადა, ამ ტურნირს უნდა დაესახელებინა იმ გუნდის ძირითადი ბირთვი, რომელიც სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გამოვიდეს.** მძიმე წონაში ვერ ვიხილეთ გურამ ფერსელიძე. ერთი ვერსიით, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სახელფასო ანაზღაურებითაა უკმაყოფილო და პროტესტის ნიშნად არ იჭიდავაო, მეორენი ამბობენ, რომ ბოლო დღეებში მოიწამლა და ხალიჩაზე გამოსვლა ვერ შეძლოო. იმედია, ჭიდაობის ფედერაცია მტყუანმართალს გამოავლენს. ასევე, არ უასპარეზიათ ზურაბ კეკელიძეს (55 კგ) და ლაშა გოგიტიძეს (60). სუსტად გამოვიდნენ ევროპის ვიცე-ჩემპიონები – ვლადიმერ გეგეშიძე (84) და ზურაბ დათუნაშვილი (74). მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის მედალოსანი მანუჩარ ცხადაია (66) მეორე შეხვედრაში თორნიკე ძამაშვილთან დამარცხდა (0:3; 0:2). საერთოდაც, ახალგაზრდებმა უკეთ გამოიჩინეს თავი და ფავორიტებს აგრძნობინეს, რომ ნაკრებში ადგილი დაჯავშნული არავის აქვს.



თუმცა, რევაზ ლაშხმა (60) და საჩინო დავითაიამ (66) თავიანთი შანსი ხელიდან არ გაუშვეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

სამწუხაროა, რომ კარგად დაწყებული ტურნირი ხელჩართული ჩხუბით დასრულდა: 84 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალის ერთ-ერთ ეპიზოდში გიორგი ცირეკიძემ სახეში მიარტყა ხელი ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ რევაზ ნადარეიშვილს, თუმცა, ეს შეგნებულ უხეშობას არ ჰგავდა. განახლდა თუ არა შეხვედრა, ნადარეიშვილმა თავით იმდენად ძლიერად ჩაარტყა მეტოქეს, ქუთაისელი ფალავანი მოწყვეტით დავარდა ხალიჩაზე. საქმეში მისი ერთ-ერთი მწვრთნელი ჩაერია, რომელმაც მსაჯებსა და მეტოქის მწვრთნელებზე გინებაგინებით გაიწია. ამას ფიზიკური შეხლა-შემოხლაც მოჰყვა, რასაც დარბაზიც აჰყვა. მსოფლიოს ჩემპიონმა მიხეილ სალაძემ და ვეტერანმა ფალავნებმა დიდი როლი შეასრულეს ინციდენტის ჩაცხრობაში. საგულისხმოა ერთი ფაქტიც: მთელ ამ ჩხუბის პროცესს ფირზე აღნუსხავდა „მსოფლიოს სპორტის" ფოტორეპორტიორი ლაშა კუპრაშვილი, რომელსაც დარბაზში მყოფმა წესრიგის დამცველებმა კადრების წაშლა მოსთხოვეს. ვინ იცის ეს დაპირისპირება რით დასრულდებოდა, საქმეში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე რომ არ ჩარეულიყო. კადრები ხელუხლებელი დარჩა.

**კვარცხლბეკი**

**55 კგ**. 1. ბაჩანა ფუტკარაძე, 2. გიზო მელაძე, 3. ნიკა ცეცხლაძე (სამივე – აჭარა), გიორგი ლომინაძე (ოზურგეთი).

**60 კგ**. 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომი), 2. თორნიკე თურქიშვილი (მარტყოფი), 3. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი), რამაზ სურმანიძე (აჭარა).

**66 კგ**. 1. საჩინო დავითაია (სენაკი), 2. მარადი აბულაძე, 3. უჩა შავაძე (ორივე - აჭარა), გოგიტა გოგიბერაშვილი (სამტრედია).

**74 კგ**. 1. ილია გულბათაშვილი (თბილისი), 2. უშანგი ჩიტიაშვილი (გარდაბანი), 3. გიორგი დათუნაშვილი (თბილისი), გოგა აფრიამაშვილი (ადიგენი).

**84 კგ**. 1. გიორგი ცირეკიძე (ქუთაისი), 2. რევაზ ნადარეიშვილი, 3. შალვა ხაჩიძე (ორივე – თბილისი), ნიკა კელასოვი (აჭარა).

**96 კგ**. 1. ვასილ იმერლიშვილი (რუსთავი), 2. ირაკლი ქაჯაია (წყალტუბო), 3. ბექა როყვა (ოზურგეთი), სანდრო დიხამინჯია (თბილისი).

**120 კგ**. 1. ლევან არაბული (თბილისი), 2. ვლადიმერ ქარჩავა, 3. სამუკა დარჩია (ორივე – ოზურგეთი), სოსო ჯაბიძე (ბაღდათი).

**ლაშა დიდია**

◎ ფეხბურთი

# „მარაკანა" მაინც სხვაა

**მოგეხსენებათ, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ჩემპიონთა ლიგად ტრანსფორმირების შემდეგ იგი ზედიზედ ორჯერ არავის მოუგია.**

**გარკვეული ტრადიცია ფიფას ეგიდით მიმდინარე შეჯიბრებებშიც დამკვიდრდა. სამაგალითოდ კონფედერაციათა თასის გათამაშებას დავასახელებთ, რომელიც მომავალი მუნდიალის მასპინძელ ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე იმართება ხოლმე, თუმცა, მისი გამარჯვებული დამდეგი ფორუმის ტრიუმფატორი აქამდე არასოდეს გამხდარა.**



ვერავინ იტყვის, ბრაზილიაში დასრულებული კონტინენტების უძლიერეს ნაკრებთა დავაში მოქმედ გვირგვინოსან ესპანეთს წარმატება ზემოთ აღნიშნული ტრადიციის გამო არ სურდაო, თორემ ნახევარფინალში იტალიას არ შეაკლავდა თავს და, მართალია, პენალტების სერიაში იმძლავრა, მაგრამ, გარდა იმისა, რომ გადამწყვეტ მატჩამდე მრისხანე მეტოქესთან შედარებით ძალების აღსადგენად ერთი დღით ნაკლები ჰქონდა, „მარაკანაზე" მასპინძლებს გამოფიტული შეება.

**ბრაზილია – ესპანეთი 3:0**

**გოლები:** ფრედი (2), ნეიმარი. რამოსმა კარს ააცილა პენალტი.

ჩავარდნისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ ჩავარდნასაც გააჩნია. საგანგაშოდ ის ფაქტიც გამოდგება, რომ ვისენტე დელ ბოსკეს გუნდმა ზედიზედ ორჯერ დატოვა სათამაშო დროში მინდორი უგოლოდ, ხოლო 2001 წლიდან მოყოლებული, პირველად გაუშვა ერთბაშად სამი ბურთი ერთ შეხვედრაში. ვფიქრობთ, მოვიდა დრო, მისმა თავკაცმა თანდათან იზრუნოს ახალ სისხლზე და თამამად გამოუცხადოს ნდობა ახალგაზრდებს.



რაც შეეხება „პენტა კამპეონებს", მათ მეოთხედ მოიგეს კონფედერაციათა თასი, მათ შორის უკანასკნელი სამი – ზედიზედ. დაგვეთანხმებით, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, თუმცა, საკითხავია, დაამსხვრევინებს თუ არა ლუიშ ფელიპე სკოლარი გაისად თავის შეგირდებს წერილის დასაწყისში ნახსენებ ტრადიციას.

დღევანდელი მდგომარეობით, მეკარე ჟულიუ სეზარი, დაცვის ბურჯი დავით ლუიზი, ნახევარდაცვის საკვანძო ფიგურა ოსკარი და ნეიმარ-ფრედის დამრტყმელი დუეტი დიახაც შეგვიძლია მოვიაზროთ ტახტზე მეექვსედ ასასვლელად გასაჩაღებებ ბრძოლებში პარტნიორთა შორის ლიდერებად, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ რიოს ნაპირებზე მორიგ შეხვედრამდე მთელი სეზონია დარჩენილი და ამ პერიოდში შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს.

**მატჩი III ადგილისთვის:**

**იტალია – ურუგვაი 2:2 (პენალტებით – 3:2).**

**ტურნირის საუკეთესო მოთამაშე – ნეიმარი.** მეკარე – ჟულიუ სეზარი. ბომბარდირი – ტორესი (ესპანეთი).

**გიორგი შოთაძე**

◎ ინტერნეტიდან

# ოლიმპიური ჩემპიონი დოპინგის მიღებას უარყოფს

**დოპინგსკანდალში გაეხვია ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 200 მეტრზე სირბილსა და ესტაფეტაში, იამაიკელი ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი. გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლის მაისში აღებულმა დოპინგტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა. მორბენალს დიურეტის კვალი აღმოუჩინეს, რომელიც ანტიდოპინგური სააგენტოს მიერ აკრძალულ პრეპარატთა სიაშია.**



სპორტსმენი კი, ამ ყველაფრის საპირისპიროდ აცხადებს რომ, აკრძალული პრეპარატი იმ საცხის შემადგენლობაში შედიოდა, რომელსაც კემპბელი ფეხის ტრავმის მკურნალობის დროს იყენებდა და ეს ფაქტი სპეციალურ გრაფაში კონტროლის წინ მიუთითა კიდეც.

გამოძიების დამთავრებამდე მძლეოსანმა ყველა სახის შეჯიბრში მონაწილეობაზე თავადვე განაცხადა უარი. იგი დოპინგის მიღებას არ აღიარებს და აცხადებს, რომ რეპუტაციის დასაცავად ბოლომდე იბრძოლებს.

**მანუჩარ გიორგაძე**

### საად წაიყვან სადაურსა...

# ალექსანდრე იმერეტინსკი (ბაგრატიონი), 1837-1900

**იმერეთის მეფეთა შთამომავალი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი. დაიბადა პეტერბურგში, დაამთავრა იქაური პაჟთა კორპუსი (1855 წ.). მსახურობდა მე-14 ქართველ გრენადერთა კორპუსში (1857წ.). მონაწილეობდა ჩაჩნეთისა (ჩეჩნეთის) და დაღესტნის დაპყრობა-დამორჩილებაში.**

1859 წელს თადარიგში გავიდა, თუმცა, ორ წელიწადში კვლავ სამხედრო სამსახურს დაუბრუნდა. 1863-ში დაამთავრა რუსეთის არმიის გენშტაბის აკადემია. 1863-64 წლებში იყო პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის მონაწილე, რის შემდეგ დაინიშნა ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსად.

გენერალ-მაიორის ჩინი მიიღო 1869-ში, 1877-78 წლებში იბრძოდა რუსეთ-ოსმალეთის ომში. 1877 წელს დაინიშნა მე-2 ქვეითი დივიზიონის მეთაურად, იმავე წლის 22 აგვისტოს აიღო ლოვჩის ციხე-სიმაგრე და გენერალ-ლეიტენანტიც გახდა. 1878 წლიდან 12 წლის განმავლობაში რუსეთის არმიის მთავარი სამხედრო პროკურორი და მთავარი სამხედრო სასამართლოს უფროსია.

1879 წელს დაინიშნა გვარდიული ნაწილებისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად. 1892 წლიდან სახელმწიფო საბჭოს წევრია; 1897 წლიდან ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი და ვარშავის გენერალ-გუბერნატორი გახლდათ.

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძემ**



მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს ნანი თევზაძეს დედამთილის, კეთილშობილი ქალბატონის

**ანგელინა (ცაცუნა) ნოდია-ხუჭუას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს სხვა ჭირისუფალთ.

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს ნუნუ, ნატო, ზურაბ, მერაბ ნოდიებს მულისა და მამიდის

**ანგელინა (ცაცუნა) ნოდია-ხუჭუას**

გარდაცვალების გამო.

### გამაფრთხილებელი აქცია

# ვერის უბნის კაკაფონია

**ვერის უბნის ეს ტერიტორია ერთ-ერთ წყნარ ადგილად ითვლებოდა დედაქალაქში. იყო დრო, მოქალაქეთა სიმყუდროვეს მხოლოდ „ვერის ბაზრის" ჟრიამული და მემაწვნეთა ნაცნობი შეძახილები თუ არღვევდა, ეს კი, როგორც ყველა უბანს, ისე ვერასაც გათავისებულ-გასისხლხორცებული ჰქონდა, რადგან მისი ყოველდღიურობის განაწესი იყო.**

გავიდა დრო და XX საუკუნის მიწურულის კატაკლიზმებმა ეს სიმყუდროვე მართლაც შეცვალა — ზოგისთვის სასიკეთოდ, ანუ ხელისმოსათბობად და თავის სარჩენად, ზოგისთვის ნერვების წყვეტად. ძველი ავეჯისა და ათასგვარი მღრღნელების თავშესაფრადქცეული სარდაფები კაფე-რესტორნებად გადაკეთდა, პირველ სართულზე მცხოვრებთა ბინები — საოფისე ფართებად, ზოგმა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარჩო, ყოველდღიური ლუკმაპურის ფული იშოვა. დროთა განმავლობაში უბნელებიც თვალს ხუჭავდნენ ნელ-ნელა შემომატებულ აჟიოტაჟსა თუ უგემოვნო მუსიკის კაკაფონიაზე, რესტორნებიდან გამოსულთა გაწევ-გამოწევაზე და ბილწსიტყვაობაზე, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? ერთ დროს წყნარი და მშვიდი უბანი ერთიანად მოღრიანცელე ადგილად იქცა.

ჰოდა, ვერ მოითმინეს და ივნისის ბოლო პარასკევს შეიკრიბნენ ქიაჩელის, ახვლედიანის, ნიკოლაძისა და ვაშლოვანის ქუჩის მცხოვრებლები და ე.წ. გამაფრთხილებელი აქციაც მოაწყვეს. წინასწარ რამდენიმე რედაქციას, ტელევიზიას, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებსაც შეატყობინეს, არც პატრული დავიწყნიათ და ვაშლოვანი-ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქუჩების კუთხეში საგანგებო შეკრებაც გამართეს.

● **თუ თბილისში ყველაზე მოკლე ქუჩებად ჩვენი უბნის ქუჩები ითვლება, პირველობას არავის ვუთმობთ რესტორნების, კაფე-ბარებისა და საუნა-მასაჟცენტრების რაოდენობით. თქვენ უნდა ნახოთ, რა ამბავია საღამოდან დილამდე. ყვირილი, ღრიანცელი, ჩხუბი, ბილწსიტყვაობა და ათასგვარი მთელ ხმაზე (რუსები რომ იტყვიან, на всю катушку) აწეული მუსიკის ხმა. აბა, კარგი ბიჭი ხარ და დაიძინე ან ბავშვი დააძინე. ყველა ოჯახში ან პატარაა, ან მოხუცი ავადმყოფი, აქ ყოფნა გაუსაძლისიაო.**



● **რა, კანონი არ არსებობს და სამართალი? ჯანდაბას, იყოს ღამის თერთმეტ საათამდე ხმამაღალი მუსიკა, ვიცით, რომ ხალხს უჭირს და ამიტომაცა აქვთ გაქირავებული ეს ფართები, მაგრამ დილამდე გამიგონია? მთელი სახლი ზანზარებს, ასეა მთელ ქუჩაზე.**

● **საშინელებაა! ქუჩა ირანელების რესტორნებით იწყება და ინდოელების ბარით მთავრდება. აქაურობა სავსეა თურქებით, ჩინელებით, ტაილანდელებითა და ინდოელებით. ჩვენი ხალხი რომ იყოს დასაქმებული, კიდევ ჰო, რაღაც-რაღაცებზე თვალს დავხუჭავდით. ქართველები მარტო მეძავეებად და ბარებში „ვიშიბალკებად" ჰყავთ დაქირავებული. დანარჩენი თვითონ არიან და ჯიბეებს ისქელებენ.**

● **ქართველი კაცი რესტორნებზე, ქეიფსა და დროსტარებაზე უარს რომ იტყვის, ეს გასაკვირია, მაგრამ მორალურ და ზნეობრივ მხარესაც ხომ უნდა მივხედოთ, ხალხნო! ეს „გეი-ბარებიო", ეს ტაილანდური თუ ჩინური მასაჟიო. იქ ინდოელები კამა-სუტრას დღეს აწყობენ და არის ათასგვარი გარყვნილება და უბედურება. ამ ლიბერასტების, პედერასტების, ამერიკულ დემოკრატიას ამოფარებული ინდენტობისა და ათასგვარი არასამთავრობო ორგანიზაციების შიშით თუ რიდით გაირყვნა მთელი უბანი. ბავშვი და ქალი ვერ გამოგვიშვია გარეთ.**

● **კაცო, ამხელა რესტორნებს, რომ ხსნიან, ერთი ტუალეტი არ უნდა გაუკეთონ? რომელი ეზოც ჩაკეტილი არ არის, ტუალეტად არის ქცეული, სავსეა აქაურობა პრეზერვატივებითა და „შპრიცებით". პატრული მაშინ გამოჩნდება, ჩხუბში ერთმანეთს რომ დაასისხლიანებენ და მაშინაც ჩვენ უნდა გამოვიძახოთ. შვილები გვყავს სახლში, გვეშინია, რამე ხათაბალას არ გადაეყარონო.**

ესაა, მეგობრებო ვერელების მოთხოვნა. ისე, გინდ მოთხოვნა დაარქვი და გინდ — გაფრთხილება, გინდაც — გამაფრთხილებელი აქცია. **„ერთ დღესაც კინწისკვრით დავიფრენთ ამ ნახევრადშიშველ ტაილანდელ და ჩინელ მასაჟისტებს, კიკინებიან პედერასტებსა და წვერგაბურძგნილ ინდოელ-სპარსელებს. გინდ მთელი ქვეყნის არასამთავრობოები მოიყვანონ და გინდ რასმუსენმა გვიქნიოს თითი, ნატოში არ მიგიღებთო".** — ეს იყო მათი გაფრთხილება. არადა, კარგად ვიცნობ ამ უბნელებს, ჩვენი გამომცემლობა „სამშობლოც" აქ იყო, სანამ გამოგვყრიდნენ იმ შენობიდან და ახლა ჩვენი რედაქციაც აქაა ერთი პატიოსანი კაცის სახლში შეკედლებული, რომელმაც „გაზეტჩიკები" არჩია მასაჟისტ-პედერასტებს და თავისი ბინა დაგვითმო. თითქმის ამ უბანში ვარ გაზრდილი და კარგად ვიცი ვერელების სიტყვისა და დაქადნების ფასი.

**ასე რომ, კოჰაბიტაცია ვერ შედგება.**

ჯობს, საკრებულომ და მერიამ დროზე მიხედონ ამ ხალხს, თორემ ვერის უბნის მელოდიები დიდი ხანია, ვერის უბნის კაკაფონიად იქცა და მოთმინების ფიალაც აივსო.

**მამუკა ვაშაკიძე**

**სურათზე:** **აღშფოთებული ვერელები თავიანთი უფლებების დაცვას გამაფრთხილებელი აქციით იწყებენ.**

**კახა ქორიძის ფოტო.**

### ინფორმაცია

## 18 წლამდე პირებისთვის ონკოლოგია და კარდიოქირურგია 100 პროცენტით დაფინანსდება

**საქართველოს მასშტაბით სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სერვისცენტრები გაიხსნა. როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ნოე ქინქლაძემ აღნიშნა, სერვისცენტრები გახსნილია საქართველოს ყველა რეგიონში. თბილისში კი სერვისცენტრი განთავსდა „ექსპო ჯორჯიას" მეექვსე პავილიონში, რომელიც იმუშავებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 09 საათიდან 18 საათამდე.**

**— სერვისცენტრში შესაძლებელია მოვიდეს ნებისმიერი ადამიანი, წარმოადგინოს ფორმა 100, ასევე კალკულაცია იმ კლინიკიდან, სადაც მას სურს რომ ოპერაცია გაიკეთოს. ჩვენი თანამშრომლები შეისწავლიან დოკუმენტებს და მისცემენ მას საგარანტიო წერილს, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პროპორციით დაფინანსებას. ეს არის ძირითადი მოსახლეობისთვის დაახლოებით 70-80%. 18 წლამდე ადამიანებისთვის ონკოლოგიისა და კარდიოქირურგიის დაფინანსება ხდება 100%-ით. მათ შეუძლიათ „ექსპო ჯორჯიაში" მოვიდნენ, წარმოადგინონ დოკუმენტები და მისცემენ შესაბამის საგარანტიო წერილს და მიმართვას, — განმარტა ნოე ქინქლაძემ.**

**ინტერპრესი**

### ახალი მოთამაშე

# ინტელექტუალური ინვესტიცია: ცოდნის მიღების, გამოცდილების დაგროვების გზა

**საინფორმაციო ტექნოლოგიები მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და განვითარების დინამიკის ტემპით გამორჩეული სფეროა, რომელსაც ყველა ქვეყნის წარმატებული წინსვლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღმავლობისთვის, მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და შესაბამისი დარგების სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა ევროპის ერთ-ერთი უდიდესი, სხვადასხვა სფეროში სოლიდური გამოცდილების მქონე საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანიის „ასეკო გრუპის" საქართველოში შემოსვლა.**

„ასეკოს" სპეციალისტები საინფორმაციო ტექნოლოგიურ (IT) პროექტებს საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორებში ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში ახორციელებენ, როგორებიცაა ჯანდაცვა, ენერგეტიკა, განათლება, სახელმწიფო მართვა, უსაფრთხოება, კომუნიკაციები, საბანკო-საფინანსო და სხვ. როცა ლაპარაკია მისი სპეციალისტების კვალიფიკაციაზე, აღსანიშნავია, რომ მათ მდიდარი გამოცდილება აქვთ დაგროვილი სერვისების ავტომატიზაციისა და ელექტრონული მომსახურების გამართვის მხრივ აღმოსავლეთ ევროპის, პოსტსაბჭოთა სივრცის მთელ რიგ ქვეყნებში. ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ახლო მომავალში ჩვენში საინფორმაციო ტექნოლოგიური პროექტების განხორციელების ახალი, ევროპული დონის სტანდარტები დამკვიდრდება, რაც სამამულო ბიზნესს გაცილებით კონკურენტუნარიანს გახდის საერთაშორისო ბაზარზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ქართულ ბაზარზე „ასეკოს" შემოსვლის კიდევ ერთი უაღრესად საგულისხმო მომენტი ისაა, რომ მას სოლიდური ინვესტიციები მოჰყვება, მრავალი სპეციალისტი დასაქმდება და ახალგაზრდა კადრებიც სათანადო დონეზე მომზადდება, რაც ქვეყანაში, ზოგადად სამხრეთ კავკასიაში კომპანიის გრძელვადიანი სამომავლო გეგმებითაა განპირობებული. ამ უკანასკნელ გარემოებას კი, როგორც „ასეკოში" აცხადებენ, ახალი ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სოლიდური ინტელექტუალური პოტენციალი განსაზღვრავს, თუმცა კი, მის მოსამძლავრებლად სათანადო ზრუნვაა აუცილებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ „ასეკო" მოღვაწეობის სფეროების მიხედვით დარგობრივად დაყოფილი კომპანიაა, რომელთა სპეციალისტებს თითოეული მიმართულებით გარკვეული სერვისები და პროდუქცია აქვთ შემუშავებული.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ საქართველოში „ასეკოს" მოღვაწეობის ერთ-ერთი გამორჩეული მომენტია ინტელექტუალურ სფეროში ინვესტირება, რაც ადგილობრივი ახალგაზრდა სპეციალისტების სათანადო დონეზე მომზადებას, მათ საგანგებო სწავლებას, შესაბამისი სფეროების მიხედვით ტრენინგების ჩატარებას, შესაბამისად, საჭირო გამოცდილების შეძენას ითვალისწინებს. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამამულო საინფორმაციო ტექნოლოგიების მაღალ დონეს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ, „ასეკო ჯორჯიას" ხელმძღვანელობის განცხადებით, კომპანიის საშუალო და დაბალი დონის თანამშრომელთა კონტინგენტი ადგილობრივი სპეციალისტებით დაკომპლექტდება, რომლებიც უცხოელი კონსულტანტების ხელმძღვანელობით იმუშავებენ. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ „ასეკო" საქართველოში კომპეტენციის ცენტრის შექმნას გეგმავს, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა, აგრეთვე, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსაც მოემსახურება.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ჩვენი კარაბადინი

### ყველი კარიესის წინააღმდეგ

**ყველი იცავს კბილებს კარიესისგან, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს. ყველის დადებითი ეფექტი აიხსნება იმით, რომ რძის ეს პროდუქტი ნაწილობრივ ახდენს მჟავის გარემოს ნეიტრალიზებას.** ამას გარდა, მისი ღეჭვის პროცესში იზრდება ნერწყვის გამოყოფა, რაც ბუნებრივად უწყობს ხელს პირში მჟავიანობის შენარჩუნებას. გამოკვლევის ავტორებმა ასევე აღმოაჩინეს, რომ ყველის საკვებად გამოყენების შედეგად კბილის ემალზე დამცველი ფირი ჩნდება, რასაც შეუძლია გააძლიეროს ამ პროდუქტის ანტიკარიესული ეფექტი.

### ძილში ვიკლებთ წონას?

**ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძილის უკმარისობის კომპენსირებას ბევრი ადამიანი ახდენს დამატებითი კალორიების მოხმარებით, ქრონიკული გამოუძინებლობა გვემუქრება სიმსუქნის შემობრუნებით.**



მკვლევარები თვალყურს ადევნებდნენ ქალებსა და მამაკაცებს, რომლებიც ორ ჯგუფად გაყვეს. მოხალისეები პირველი ჯგუფიდან იცავდნენ მათთვის ჩვეულებრივ ძილის რეჟიმს, მაშინ, როდესაც მონაწილეებს მეორე ჯგუფიდან ეძინათ გაცილებით ნაკლები, ვიდრე ჩვეულებრივად. როდესაც თვალყურს ადევნებდნენ „გამოუძინებელ“ მოხალისეებს, მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ისინი მიირთმევენ იმათზე მეტს, ვისაც ჰქონდა შესაძლებლობა ნორმალურად გამოეძინათ. იმ ჯგუფის მონაწილეები, ვისაც 80 წუთით ნაკლები ეძინათ, ვიდრე ჩვეულებრივად, დღე-ღამეში მოიხმარდნენ 549 კალორიით მეტს, ვიდრე ჩვეულებრივად. ამრიგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ძილის უკმარისობა სიმსუქნის ერთ-ერთი ფაქტორია. ადრე მეცნიერებმა აღმოაჩინეს დამოკიდებულება ძილის უკმარისობასა და შაქრის დიაბეტის წარმოქმნას შორის.

ამრიგად, ყველას, ვინც ზედმეტ წონას ებრძვის, მკვლევარები ურჩევენ მიაქციონ ყურადღება არა მხოლოდ დიეტასა და ფიზიკურ აქტივობას, არამედ ძილისთვის დღე-ღამეში გამოყონ სულ ცოტა 8 საათი.

**მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ლუდმილა ვოლკოვას კომენტარი:**

— ძილის უკმარისობა და ზედმეტი წონის გაჩენა მართლაც არიან ერთმანეთთან კავშირში. საქმე ისაა, რომ ორგანიზმს, რომელსაც ცოტა სძინავს, მიდრეკილება აქვს, მოიმარაგოს ენერგია, რათა შემდგომ აინაზღაუროს ძალები. ამიტომ ქრონიკული გამოუძინებლობა მართლაც აიძულებს ორგანიზმს დააგროვოს ცხიმი. თქვენი ფიგურა რომ არ გახდეს არასწორი დღის წესრიგის მსხვერპლი, ეცადეთ მოაწესრიგოთ თქვენი სადღეღამისო რიტმები. დაწექით დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს, რაც შეიძლება დიდხანს იყავით სუფთა ჰაერზე, არ გამოტოვოთ საკვების მიღება, მაგრამ ნურც ბევრს შეჭამთ.

### გაბზარული გული

**სამუშაოს დაკარგვას გულ-სისხლძარღვთა დარღვევების განვითარებასთან მივყავართ, ამტკიცებენ ამერიკელი კარდიოლოგები. სამსახურიდან გათავისუფლებას ხშირად თან ახლავს სტრესი, ნერვული დაძაბულობა და შეშფოთება, და შეუძლია გამოიწვიოს ეგრეთ წოდებული „გაბზარული გულის სინდრომის“ პროვოცირება. ამ მდგომარეობას ახასიათებს ადრენალინის ძლიერი გამოყოფა, რაც ჩვეულებრივ გულის რიტმს არღვევს.**

უმუშევრობის დროს გულის შეტევის საფრთხე გაცილებით მაღალი აქვთ საშუალო ასაკის ადამიანებს, ვიდრე ხანდაზმულებს. რისკი ყოველი მომდევნო გათავისუფლების შემდეგ იზრდება.

### შეყვარებულობა გვიმკურნალებს

**მეცნიერებმა უბედური სიყვარულისგან თავის დაღწევის საშუალება გამოიგონეს. ამ ცოტა ხნის წინათ მოწყობილმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ნივთიერებებს, რომლებიც ბლოკავენ ზოგიერთ რეცეპტორებს, შეუძლიათ გაანადგურონ ამა თუ იმ პარტნიორის ერთგულება, მისდამი მიდრეკილება.**



ჰორმონებს ვაზოპრესინსა და ოქსიტოცინს ასევე „ერთგულების ჰორმონებსაც“ უწოდებენ. სწორედ მათი წყალობით ადამიანს უჩნდება სურვილი, იყოს რაც შეიძლება ახლოს თავის პარტნიორთან. თაგვებზე ცდების შემდეგ მეცნიერებმა შეძლეს გამოერკვიათ, რომ ერთგულება შეიძლება გამოიწვიოს ამ ჰორმონების ინიექციამ. ამგვარივე ხერხით იმ შენაერთების დახმარებით, რომლებიც ბლოკავენ ვაზოპრესინისა და ოქსიტოცინის რეცეპტორებს, სპეციალისტებს განზრახული აქვთ შეიმუშაონ მეთოდიკა, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს შეყვარებულობის წარმოქმნას ან გააქრონ მისი შედეგები. სპეციალისტების სიტყვებით, ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ახალი სამკურნალო პრეპარატების გამოგონებისთვის, რომლებიც დაგვეხმარებიან გადავწყვიტოთ ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები, რაც წარმოიქმნება ხოლმე უბედური სიყვარულის ან განქორწინების შედეგად.

### გამოკითხვა

**რა გიშლით ხელს, რომ დაანებოთ თავი მოწევას?**

**10 პროცენტი — არ არის სტიმული**
**20 პროცენტი — არ მყოფნის ნებისყოფა**
**10 პროცენტი — არ მჯერა, რომ ასე მავნეა მოწევა**
**10 პროცენტი — არ ვიცი, როგორ**
**50 პროცენტი — არ ვეწევი**

**სულ გამოკითხვაში 696 კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

## ქართული გაზეთებიდან



### კვალი უგულავამდე მიდის?

მერიის ჩინოვნიკთა დაპატიმრების საქმეში კვალი უგულავამდე უკვე მისულია, მაგრამ მიიღებს თუ არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ივანიშვილი, რომ უგულავა პასუხისგებაში მისცეს, დამოკიდებულია მის სიმტკიცეზე. რაც მალე განთავისუფლდება ივანიშვილი ამ არაფორმალური გავლენებისა და კარისკაცებისაგან, მით უფრო ეფექტური გახდება მისი მთავრობა.

**„კვირის პალიტრა“**

### ზესტაფონელები ზესტაფონის გადასარჩენად ერთიანდებიან

ზესტაფონში დიდი ამბები ტრიალებს. ისინი კარგა ხანია შველას ითხოვენ. წინა ხელისუფლებას საამისოდ ზესტაფონელებისთვის არაფერი გაუკეთებია. ხალხს ახალი ხელისუფლების იმედი აქვს. პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი აცხადებს, რომ ეს არის მოაზროვნე ზესტაფონელთა განწყობა. დაიწყო მოძრაობა „ზესტაფონის გადარჩენის კომიტეტის“ შექმნისთვის. იგი ორ კვირაში შეიქმნება დიდ სახალხო შეკრებაზე. გამოვა გაზეთი-მოსაწვევი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება რაიონში შექმნილი მდგომარეობის დეტალური ანალიზი, დაიწყება ბრძოლა „მოქკავშირ-აღორძინება-ნაცმოძრაობის“ მიერ დანიშნული ნომენკლატურული ბიზნესმენების წინააღმდეგ, რადგან ბიზნესის და პოლიტიკის მედროვეთა მარწუხებისგან განთავისუფლება არის საქართველოს მომავალი.

**„ახალი თაობა“**

### ბეჟაშვილისა და მოგელაძის პასუხისმგებლობის საკითხი, შესაძლოა, დაისვას

პროკურატურაში ამ საკითხის შესწავლა ჯერ არ დაწყებულა, თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ამბობენ, რომ დიდი ალბათობით, დადგება ბეჟაშვილისა და მოგელაძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. კონტროლის პალატის საქმიანობის შემსწავლელმა კომისიამ დაიქირავა რამდენიმე აუდიტორი, რომელთა მეშვეობითაც მოხდა კონტროლის პალატის საქმიანობის შესწავლა და, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ამბობენ, დასკვნაში ბევრი ისეთი მასალაა, რაც პროკურატურის ინტერესის საგანი უნდა გახდეს.

**„რეზონანსი“**

### ჩინოვნიკების დაკავება „ნაციონალების“ ჩაწყობილია

როგორც ადვოკატი მამუკა ნოზაძე ამბობს, მოარული ვერსია, თითქოს ჩინოვნიკების დაკავება „ნაციონალების“ ჩაწყობილია, შეიძლება ნამდვილი იყოს. საქმე ის არის, რომ ფინანსთა მინისტრის დონეზე არ დაიგეგმებოდა ეს ოპერაცია, ფინანსურ პოლიციას ჰყავს თავისი საგამოძიებო ნაწილის უფროსი და ასევე ფინანსური პოლიციის უფროსი. უშუალოდ ეს ორი პირი წყვეტს ამგვარ ოპერაციებს და გეგმავს. „ნაციონალურ მოძრაობას“ მართლაც მისცეს შესაძლებლობა, ეს მომენტი გამოეყენებინათ. იქ არის ძალიან ბევრი ძველი კადრი, რომლებიც ლოიალურად არიან განწყობილი „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, ამ ნაბიჯით კი სწორედ ყოფილ მმართველ პარტიას შეუწყვეს ხელი, რომ დაენახვებინათ საერთაშორისო საზოგადოებისთვის, როგორ არაცივილიზებულად ხდება განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების დაკავება და მოწმის სტატუსით დაკითხვაზე მიყვანა.

**„ქრონიკა“**

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— **დალევა** გინდა?
— არა.
— არაყი?
— კი.

* * *

**არყის** სმა არ მიყვარს, მაგრამ იმ ხალხის ხათრით ვსვამ, ვინც მას ამზადებს.

* * *

**დედა** პირველი საქორწინო ღამის წინ თავის უმწიკვლო ქალიშვილს რჩევას აძლევს:

— თუ გინდა, რომ ეს საოცარი ღამე მთელი ცხოვრების მანძილზე დაგამახსოვრდეს, დაწოლის წინ შენს ქმარს ათი ხამანწკა აჭამე.



მეორე დღეს დედას თავისი გოგო თვალცრემლიანი დახვდა.

— რა მოხდა? — შეწუხდა იგი, — არ შეჭამა შენმა ქმარმა ხამანწკები?

— შეჭამა, ათივე შეჭამა, მაგრამ მხოლოდ ოთხმა იმოქმედა....

* * *

— **ივან** ივანიჩ, თქვენ ჩვენს ფირმაში იგივე ხართ, რაც მთავარი რამ ავტომანქანაში.
— რა, ძრავა?
— არა, მუხრუჭი.

* * *

**არის** პირადი მდივნის ორი ტიპი — კარგი და ძალიან კარგი.

კარგი პირადი მდივნები ამბობენ: „დილა მშვიდობისა, შეფ!“

ძალიან კარგები კი ამბობენ: „უკვე დილაა, შეფ!“

**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24